შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№49 (9.614)

21-28 დეკემბერი 2013 წელი

ფასი: 1 ლარი

ყოველკვირეული გამოცემა

20 საწოლიანი საავადმყოფო - დედოფლისწყაროს

ებრაული კომპანია „ადითისთვის“ სამედიცინო დაწესებულებების ჩამორთმევის შემდეგ სახელმწიფომ შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“ შექმნა, რის მეშვეობითაც ჩამორთმეული კლინიკების მართვას განახორციელებს. რვავე სამედიცინო დაწესებულება ამ ცენტრში გაერთიანდა.

ჩამორთმეულ საავადმყოფოებს შორისაა დედოფლისწყაროს სამედიცინო ცენტრიც. როგორც „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ ხელმძღვანელმა ნუგზარ ბოლქვაძემ გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, ამჯერად დედოფლისწყაროში 20 საწოლიანი საავადმყოფო გაიხსნება.

ჩვენს კითხვაზე, რამდენად საკმარისია დედოფლისწყაროსთვის 20 საწოლზე გათვალისწინებული კლინიკა, მაშინ, როდესაც „ადითი“ 30 საწოლიანი სამედიცინო პუნქტის გახსნაზე საუბრობდა, ნუგზარ ბოლქვაძემ აღნიშნა, რომ „ადითის“ პროექტი არარეალური რომ იყო, იმთავითვე ნათლად ჩანდა.

ბოლქვაძის განმარტებით, დედოფლისწყაროს საავადმყოფოს პროექტის დეტალებზე მუშაობა კვლავაც გრძელდება და სავარაუდოდ, ერთი თვის ვადაში უნდა დასრულდეს. ის არ გამორიცხავს, რომ საჭიროების შემთხვევაში საწოლების ოდენობა კიდევ გაიზარდოს.

რომელ შენობაში განთავსდება ახალი საავადმყოფო, ჯერჯერობით უცნობია.

ნუგზარ ბოლქვაძე: „ჩვენი ორგანიზაციის ჩამოყალიბების იდეა იმაში მდგომარეობდა, რომ მოგეხსენებათ, „ადითმა“ ვერ შეასრულა აღებული ვალდებულებები და საქართველოს 8 ქალაქში სამედიცინო მომსახურება ჩავარდნილი იყო, მთლიანად მოშლილია ინფრასტრუქტურა. ძალიან მძიმეა ტექნიკური აღჭურვილობა და თუნდაც დედოფლისწყაროს მაგალითზე რომ ვიმსჯელოთ, 21-ე საუკუნეში ჩვენ გვიწევს საავადმყოფოების შეშით გათბობა, რაც დამეთანხმებით, წარმოუდგენელია. საკმაოდ დიდია მედპერსონალის სახელფასო დავალიანებაც. „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ შექმნის შემდეგ სახელმწიფომ გადაწყვიტა გამოსწორებულიყო ინფრასტრუქტურული ვითარება და ამავე დროს თანამშრომლების შესაბამისი ანაზღაურებაც მომხდარიყო. ამჟამად მიმდინარეობს ძალიან სერიოზული სამუშაოები, რომ ჩამოყალიბდეს სტრატეგია, თუ რომელ რეგიონში რა გვაქვს გასაკეთებელი. ამჯერად სწორედ ამ კვლევის ეტაპზე ვართ ჩვენ, თუ რა სახის სამუშაოები უნდა დაიგეგმოს და რა ტიპის დაწესებულებები ჩამოვაყალიბოთ ამ რვა ქალაქში. თუმცა, რვავე საავადმყოფო უკვე უზრუნველყოფილია შესაბამისი მედიკამენტებით და ყველა საჭირო საგნით. რაც მთავარია, ჩვენს ორგანიზაციას, ანუ „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრს“ სახელფასო დავალიანება არ გააჩნია.

- ბატონო ნუგზარ, საუბრის დასაწყისში ახსენეთ, რომ ყველა ქალაქში სამედიცინო ინფრასტრუქტურა მოწესრიგდება, რა ფინანსებით გეგმავთ ამის განხორციელებას, ინვესტიციების მოზიდვაზე იმუშავებთ, თუ რეაბილიტაციის პროცესს ქვეყნის ბიუჯეტი დააფინანსებს?

- დაფუძნებისთანავე, საქართველოს მთავრობის დადგენილებით, გამოგვეყო შესაბამისი თანხები, რომლებიც მიზნობრივადაა გაწერილი ინფრასტრუქტურის და სახელფასო ვალდებულებების უზრუნველყოფისთვის. წლის ბოლოსთვის უნდა გვქონდეს სტრატეგიული განვითარების გეგმა და მენეჯმენტი, რომ მომავალი წლიდან ამ ორგანიზაციებმა საკუთარი თავის შენახვა მოახერხონ. ეს უნდა იყოს არა სახელმწიფო ბიუჯეტზე მიბმული, ან დოტაციაზე მყოფი დაწესებულება, არამედ, სამედიცინო ცენტრი, რომელიც საკუთარ თავს შეინახავს და მედპერსონალს ექნება ნორმალური ანაზღაურება. თავის მხრივ, პრობლემაა მიგრაცია, სამედიცინო კადრებით უზრუნველყოფა. ასევე, გვიწევს არასწორად შედგენილი პროექტების რეალობასთან მორგება, რათა ეს კლინიკები არ გახდეს ვინმეს შესანახი. საბოლოო მიზანი კი ისაა, რომ უზრუნველყოს პაციენტთა მაღალტექნოლოგიური მომსახურება.

(გაგრძელება გვ.3)

"ერის დაბერება დიდი სიჩქარით ხდება"

“ახალგაზრდებმა არ იციან, რომელ საუკუნეში რამდენი ვიყავით, რატომ შევმცირდით, რამ გამოიწვია ეს”

“ვმუშაობთ, რომ მრავალშვილიანი ოჯახებისთვის შეღავათი გაკეთდეს კომუნალურ გადასახადებზე, განათლების მიღებისას და ა.შ”

“მოსახლეობის რაოდენობის შემცირება, ეთნიკური ქართველების ხარჯზე ხდება.”

ამონარიდი ჟურნალ “გზიდან”:

“ეს არის პირველი ინტერვიუ, რომლითაც ამ სასიამოვნო სიახლეს გაცნობებთ. ძალიან მალე, დემოგრაფიულად პრობლემურ რეგიონებში მცხოვრებ ოჯახებში დაბადებული მესამე ბავშვი, სახელმწიფოსგან ყოველთვიურად 100 ლარს მიიღებს”, - აცხადებს “დემოგრაფიული განვითარების ფონდის” ერთ-ერთი დამაარსებელი, ფრაქცია “ქართული ოცნების” პიარ-მენეჯერი თამარ ჩიბურდანიძე. უკვე 9 თვე გავიდა, რაც ეს არასამთავრობო ორგანიზაცია დაარსდა და დემოგრაფიული მდგომარეობის საფუძვლიანად შესწავლის შემდეგ, პრობლემის აღმოფხვრაზე აქტიურად დაიწყო მუშაობა.

- გაეროს მონაცემები, რომ 2050 წლისთვის საქართველოში მოსახლეობის რაოდენობა 1 170 000-ით შემცირდება, გაზვიადებული ხომ არ არის?

- ქართველ დემოგრაფებს უფრო საგანგაშო პროგნოზი აქვთ. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მოსახლეობის რაოდენობის შემცირება, ეთნიკური ქართველების ხარჯზე ხდება.

არსებობს 15 დემოგრაფიული პრობლემა. ეს არის შობადობის კლება, მოკვდავობის გაზრდა, შიდა და გარე მიგრაცია და ა.შ. რაჭაში, სვანეთში, გურიაში, ხევში, იმერეთში საგანგაშო მდგომარეობაა. შობადობის მატება მხოლოდ 3 რეგიონში აღინიშნება. ეს არის აჭარა, ქვემო ქართლი და სამცხე-ჯავახეთი. მატებაა თბილისშიც, ყველა სხვა რეგიონი მინუსებშია.

***

- მრავალშვილიანობის სტატუსის განსაზღვრაზე მუშაობთ?

- დიახ, ამ მიმართულებით პარლამენტში უკვე მუშაობენ, რაც დიმიტრი ხუნდაძის ინიციატივაა. სავარაუდოდ, ამ ეტაპზე მხოლოდ სტატუსის განსაზღვრა მოხდება. ყოველთვიურად სოციალური დახმარება ვერ გაიცემა, რადგან ეს თანხა 100 მილიონამდეა, ამ ხარჯს კი ქვეყნის ბიუჯეტი ვერ გასწვდება.

- მაშინ სტატუსის განსაზღვრას რა მნიშვნელობა აქვს?

- ჩაფიქრებული გვაქვს, ეს სტატუსი სხვა კუთხით გამოვიყენოთ.

- რას გულისხმობთ?

- მოვლენებს წინ გავუსწრებ და გეტყვით, ვმუშაობთ, რომ მრავალშვილიანი ოჯახებისთვის შეღავათი გაკეთდეს კომუნალურ გადასახადებზე, განათლების მიღებისას და ა.შ. ჩვენმა კვლევამ აჩვენა, რომ თბილისში ყველაზე მწვავედ საცხოვრებლის პრობლემა დგას. დეკემბრის ბოლოს, საბოლოოდ ჩამოვყალიბდებით, რა დახმარება შეიძლება გაიღოს ფონდმა, მთავრობამ და ვნახავთ, რა საკანონმდებლო ცვლილებები მოხდება პარლამენტში.

მოსახლეობაში დემოგრაფიული განათლების ძალიან დაბალი დონეა, განსაკუთრებით - ახალგაზრდებში. არ იციან, რომელ საუკუნეში რამდენი ვიყავით, რატომ შევმცირდით, რამ გამოიწვია ეს და ა.შ. განათლების სამინისტროსგან მივიღეთ მხარდაჭერა, სკოლებში კლასგარეშე საკითხავ ლიტერატურად საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიული ისტორია შევიდეს. უმაღლეს სასწავლებლებთან კი შევთანხმდით, რომ ჩავატაროთ სემინარები და სტუდენტებს დემოგრაფიის ისტორია გავაცნოთ. ჩვენი სამიზნე სწორედ ახალგაზრდობაა. ამ მიმართულებით აქტიურად მუშაობს დემოგრაფი ანზორ თოთაძე.

- თქვენთან აქტიურად თანამშრომლობს ლევან ვასაძე, არა?

- დიახ, ლევან ვასაძე, ლაშა პაპაშვილი, მამუკა ხაზარაძე, ზაზა ნიშნიანიძე, გოგა თევდორაშვილი, ბადრი ჯაფარიძე სამეთვალყურეო საბჭოს წევრები არიან და ჩართულები არიან პროგრამის შემუშავებაში. დემოგრაფიული პრობლემის ერთ-ერთი მიზეზი განქორწინების რიცხვის გაზრდა და ქორწინების შემცირებაა. საქართველოში ოჯახის კულტი, ოჯახური ურთიერთობები და პატივისცემა დაიკარგა. ამ მიმართულებით ახალგაზრდებთან მუშაობასაც ვაპირებთ. ლევან ვასაძე გამორჩეულად აქტიურობს. იმედი გვაქვს, რომ ქვეყანაში როგორც დემოგრაფიული, ასევე სხვა პრობლემებიც უახლოეს წლებში მოგვარდება.

კომპიუტერული თამაშები-აგრესიული მოგავალი თაობის საფუძველი?!

გვ. 5

გაზეთი „შირაქის“ საჩუქარი ერთგულ მკითხველს

ქველმოქმედება ბავშვების მონაწილეობით

გვ. 2

მსურველთა საყურადღებოდ!

გაზეთი „შირაქი“ არ ღალატობს ტრადიციას და კვლავაც გთავაზობთ ფერად **საახალწლო კალენდარს.** თუ გსურთ, თქვენი ბავშვის ფოტო განთავსდეს 2014 წლის ფერად კალენდარში, გთხოვთ წარმოადგინეთ ის 25 დეკემბრის ჩათვლით რედაქციაში.

შეგახსენებთ, რომ კალენდარში ფოტოს განთავსება ფასიანია. 1 ფოტოსურათი 15 ლარი ეღირება. მაგრამ, თუ, ერთ ფოტოში ორი, ან მეტი ბავშვი იქნება - 20 ლარი.

იჩქარეთ, რაოდენობა შეზღუდულია!!!

C M Y K

ირაკლი ღარიბაშვილი აზიის განვითარების ბანკის ცენტრალური და დასავლეთ აზიის დეპარტამენტის გენდირექტორს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ირაკლი ღარიბაშვილი, აზიის განვითარების ბანკის ცენტრალური და დასავლეთ აზიის დეპარტამენტის გენერალურ დირექტორს კლაუს გერჰაუზერს შეხვდა.

პრემიერის პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრა სახელმწიფო კანცელარიაში გაიმართა და მას ფინასთა მინისტრი ნოდარ ხადური ესწრებოდა.

აზიის განვითარების ბანკი საქართველოს 171 მლნ აშშ დოლარის ოდენობის შეღავათიან ფინანსურ რესურსს გამოუყოფს.

საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის 19 დეკემბერს მოეწერა ხელი საქართველოსთვის მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების შეთანხმებებს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა კლაუს გერჰაუზერს მადლობა გადაუხადა იმ დახმარებისთვის, რომელსაც აზიის განვითარების ბანკი საქართველოს მიმართ იჩენს და იმედი გამოთქვა, რომ ეს დახმარება მომავალშიც გაგრძელდება.

"ვფიქრობთ, რომ 2014 წლის გაზაფხულზე შესაძლებელი იქნება საინვესტიციო (ბიზნეს) ფორუმის ჩატარება საქართველოში. ფორუმის ფარგლებში შესაძლებელი იქნება დაახლოებით 300 კერძო და სახელმწიფო სექტორის, განვითარების ინსტიტუტების, ბიზნეს ასოციაციების, სავაჭრო პალატების და სხვა შესაბამისი ორგანიზაციების წარმომადგენელთა შეხვედრა. საქართველოს აქვს დიდი პოტენციალი იყოს პლატფორმა ბიზნესის წარმოებისათვის მთელი რეგიონისთვის. იმედი გვაქვს, რომ აზიის განვითარების ბანკი ხელს შეუწყობს საქართველოს ამ როლის წარმოჩენას მის წევრ ქვეყნებში და გახდება ხიდი საქართველოსა და აზიის ქვეყნებს შორის," - განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა.

დედოფლისწყაროს ბიუჯეტი დამტკიცდა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მთავარი ფინანსური დოკუმენტი 17 დეკემბერს დაამტკიცა. მანამდე ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა მოეწყო.

დედოფლისწყაროს საკრებულომ ასევე დააკმაყოფილა ირაკლი შიოლაშვილის გამგებლის თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განცხადება. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლად კი გივი გიგაური დაინიშნა. საკრებულომ ამის შესახებ გადაწყვეტილება ამავე სხდომაზე მიიღო. გივი გიგაური 1 წლის განმავლობაში გამგებლის მოადგილის პოსტს იკავებდა სოფლის მეურნეობის დარგში.

საკრებულოს თავმჯდომარის ლევან ნატროშვილის განმარტებით, გამგებლის ვაკანსიაზე კონკურსი გამოცხადდება.

„შესაბამისი კანონმდებლობის თანახმად, გამგებლის მოვალეობის შემსრულებლად მოადგილე უნდა დაგვემტკიცებინა და მის მოვალეობას გივი გიგაური შეასრულებს. გამგებლის ვინაობა კი საბოლოოდ კონკურსის გამოცხადების შემდეგ გაირკვევა", — განაცხადა ნატროშვილმა.

ირაკლი შიოლაშვილი გამგეობაში თანამშრომლებს 16 დეკემბერს დაემშვიდობა, ამავე დღეს პირველი სამუშაო დღე ჰქონდა გუბერნიაში, სადაც ახალ თანამშრომლებს გაეცნო.

საგარეჯოსა და დედოფლისწყაროში ვადაგასული სურსათი ამოიღეს

სურსათის ეროვნული სააგენტოს კახეთის რეგიონულმა სამმართველომ საგარეჯოსა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტების სოფლებში ვადაგასული სურსათის რეალიზაციის ფაქტები გამოავლინა.

მონიტორინგი ჩატარდა სოფელ ნინოწმინდაში, არბოშიკსა და ოზაანში. ი/მ "სოლომონ უსტიაშვილის", ი/მ "ნათია როსტომაშვილის", ი/მ "შოთა ბატიაშვილის", ი/მ "ვასილ ალუღიშვილისა" და ი/მ "ლიანა მეხრიშვილის" სასურსათო მაღაზიებიდან ამოღებულია სხვადასხვა დასახელების ლუდი, უალკოჰოლო სასმელი, ჩაი, ყავა, შესქელებული რძე, ორცხობილა (მათ შორის, კრემიანი), მარგარინი, დაფქული წითელი წიწაკა, ძეხვი, ტომატ-პასტა, ზეთისხილი.

ვადაგასული სურსათი დაილუქა და კანონმდებლობის შესაბამისად განადგურდება.

ალექსი პეტრიაშვილი ვლადიმერ პუტინის განცხადებას ეხმაურება

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ალექსი პეტრიაშვილი რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის მიერ გუშინ გაკეთებულ განცხადებას ეხმაურება და მეზობელ სახელმწიფოსთან ურთიერთობის ნორმალიზების კუთხით ნებისმიერი ნაბიჯის გადადგმას მიესალმება, თუმცა განმარტავს, რომ ეს არ მოხდება საქართველოს ეროვნული ინტერესების ფასად.

"ვლადიმერ პუტინმა არ გამორიცხა, რომ შესაძლოა საქართველოსთან სავიზო რეჟიმი გაუქმდეს. ამავე დროს ამას არც მე გამოვრიცხავ. საქართველოს წინა ხელისუფლებამ ცალმხრივად, რუსეთის მოქალაქეებისთვის უკვე გააუქმა სავიზო რეჟიმი. რუსეთის ხელისუფლების მაგივრად მე ვერ მივიღებ ამ გადაწყვეტილებას, მაგრამ შემიძლია დაგარწმუნოთ ერთ რამეში, რომ მსგავსი ტიპის გადაწყვეტილებები ვერ იქონიებს გავლენას ვერც ერთ ჩვენს სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხზე გადაწყვეტილების შეცვლის კუთხით. მივესალმები ყველა გადადგმულ ნაბიჯს, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოს ურთიერთობების ნორმალიზებას მის მეზობელ სახელმწიფოსთან, თუმცა ყველამ უნდა იცოდეს, რომ ეს არ მოხდება ჩვენი ეროვნული და სტრატეგიული ინტერესების ფასად არასდროს", - აღნიშნა ალექსი პეტრიაშვილმა.

მან კიდევ ერთხელ განმარტა, რომ საქართველოსთვის სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხებია ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა - ქვეყნის დეოკუპაცია, ასევე საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების განუხრელად შესრულება, რაც ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციას გულისხმობს.

რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი საქართველოსთან სავიზო რეჟიმის გაუქმების შესაძლებლობას არ გამორიცხავს.

როგორც ვლადიმერ პუტინმა გუშინ ტელეკომპანია "რუსთავი 2"-ის ჟურნალისტის შეკითხვის საპასუხოდ განაცხადა, რუსეთის ხელისუფლება ხედავს იმ სიგნალებს, რომელსაც საქართველოს ახალი ხელისუფლება იძლევა.

"არ ვიცი, რას გულისხმობდა ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრი, შეიძლება ეს უწყებასთან დაკავშირებული საკითხებია, მაგრამ საქართველოში სიტუაციის ისე განვითარება, რასაც ახლა ვხედავთ, ვფიქრობ, მოგვცემს შესაძლებლობას დავაბრუნოთ უვიზო რეჟიმი", - აღნიშნა პუტინმა.

რუსეთის პრეზიდენტის შეფასებით, ეს ძალიან კარგი ნაბიჯი იქნება რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობების ნორმალიზებაში, თუ გათვალისწინებული იქნება ისიც, რომ ეს დაეხმარება ხალხს ერთმანეთთან ურთიერთობაში.

ბიძინა ივანიშვილი დააჯილდოვეს

საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი, ბიძინა ივანიშვილი თამბაქოს კონტროლის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის სპეციალური პრიზით დააჯილდოვეს.

თამბაქოსაგან თავისუფალი სამედიცინო და სასწავლო დაწესებულებების დაჯილდოების ცერემონია სასტუმრო "ამბასადორში" დღეს გაიმართა.

ღონისძიებას ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე მარიამ ჯაში, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორი ამირან გამყრელიძე და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი ესწრებოდნენ.

შეხვედრაზე სამეცნიერო—პოპულარული ფილმის — "სიმართლე თამბაქოს შესახებ" და სოციალური კლიპების ჩვენებაც გაიმართა.

ქველმოქმედება ბავშვების მონაწილეობით

2013 წლის 18 დეკემბერს დედოფლისწყაროს კულტურის სახლში გაიმართა საქველმოქმედო კონცერტი, რომელიც მთლიანად ახალგზარდების ორგანიზებით მოეწყო. მასში მონაწილეობა მიიღეს ქალაქ დედოფლისწყაროს, ოზაანის, ფიროსმანის, არხილოსკალოს, მაჩხაანის, ზემო და ქვემო ქედის, ხორნაბუჯისა და არბოშიკის საჯარო სკოლების მოსწავლეებმა.

კონცერტს განსაკუთრებული სტუმრების სტატუსით ესწრებოდნენ "თელავის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრის" დირექტორი ნათია ქარჩაიძე, ორგანიზაციის კოორდინატორი კახეთის რეგიონში მერიკო პაპუნაშვილი და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე აკაკი ნატროშვილი.

საქველმოქმედო საღამო გაიმართა "ახალგაზრდული ფორუმი 2013"-ის ფარგლებში, სადაც რაიონის ახალგაზრდების მიერ უშუალოდ დაიგეგმა ღონისძიება, ადგილობრივი თვითმმართველობის ძალისხმევით კი რეალურად განხორციელდა.

„საღამომ ძალიან კარგად ჩაიარა, ნამდვილად არ ველოდი, რომ ამდენად კარგი ღონისძიება გამოვიდოდა და ამხელა ინტერესი წამოვიდოდა. გვიხარია, რომ ასეთი სახის ღონისძიებები ჩვენს რაიონში ფეხს იკიდებს და სიკეთის კეთების სურვილი სენივით ედება მთელ მოსახლეობას. უდიდესი მადლობა გვინდა ვუთხრათ დედოფლისწყაროს ყველა მკვიდრს, ყველა ადამიანს, ვინც 1 თეთრი მაინც გაიღო და საკუთარი წვლილი შეიტანა ამ კეთილ საქმეში! მერწმუნეთ, ქველმოქმედებით, პირველ რიგში, თქვენს თავს უკეთებთ სიკეთეს," - აღნიშნა ქეთი შანშიაშვილმა.

კონცერტს განსაკუთრებული სტუმრების სტატუსით ესწრებოდნენ „თელავის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრის" დირექტორი ნათია ქარჩაიძე, ორგანიზაციის კოორდინატორი კახეთის რეგიონში მერიკო პაპუნაშვილი და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე აკაკი ნატროშვილი. ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა საღამოს მონაწილეებსა და მხარდამჭერებს სპეციალური სიგელებიც გადასცეს.

„უდიდესი მადლობა დედოფლისწყაროს ყველა მკვიდრს, ყველა იმ ადამიანს, რომელმაც 1 თეთრი მაინც გაიღო! მერწმუნეთ, ქველმოქმედებით, პირველ რიგში, თქვენს თავს უკეთებთ სიკეთეს..."-ასეთია საქველმოქმედო კონცერტის ორგანიზატორების მესიჯი, რომელსაც ისინი საზოგადოებას უგზავნიან.

კახეთი პოლონურ დელეგაციას მასპინძლობს

კახეთსა და სავოევოდოს შორის ურთიერთთანამშრომლობის შესახებ თანხმობის დოკუმენტი გაფორმდა, რომელიც ქართულ-პოლონური ცენტრის მუშაობის გაგრძელებას ითვალისწინებს. დოკუმენტის მიხედვით, თებერვლიდან კახეთში მომუშავე მეწარმეთა ხელშეწყობის მიზნით ახალი პროექტის განხორციელება დაიწყება. მომავალ წელს ორ მხარეს შორის თანამშრომლობა უკვე ოფიციალურად გაფორმდება.

თანხმობის დოკუმენტს კახეთის გუბერნატორმა ირაკლი შიოლაშვილმა და სავოევოდოს ვიცე-გუბერნატორმა იან ურეკმა მოაწერეს ხელი. პოლონური მხარე ვიზიტის ფარგლებში კახეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიას გაეცნობა და ქართველ კოლეგებს სოფლის მეურნეობის კუთხით მიღებულ გამოცდილებასაც გაუზიარებს. დელეგაცია რეგიონში 5 დღის განმავლობაში დარჩება, სადაც ღირსშესანიშნაობებს დაათვალიერებს და ქართული ღვინის კომპანიებსაც ეწვევა.

პროექტი კახეთსა და პოლონეთს შორის არსებული მრავალწლიანი მეგობრობის ფარგლებში დაიგეგმა.

20 საწოლიანი საავადმყოფო -დედოფლისწყაროს

(პირველი გვერდიდან)

- რაც შეეხება დედოფლისწყაროს საავადმყოფოს პროექტს?

- თითქმის დასრულებულია დედოფლისწყაროს პროექტზე მუშაობა. ალბათ გადაწყვეტილებაც ასეთი იქნება მიღებული, რომ დედოფლისწყაროში გაიხსნას 20 საწოლიანი თანამედროვე ტიპის საავადმყოფო. ჯერჯერობით მსჯელობა მიდის, რამდენსაწოლიანი კლინიკის გახსნა იქნება ოპტიმალური. ჩვენი აზრით, მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით, მოთხოვნას 20 საწოლიანი დააკმაყოფილებს. ასევე, სამედიცინო კადრები, რაც დედოფლისწყაროში ადგილზე გვყავს, ვფიქრობ, სრულად იქნება დასაქმებული. არ გამოვრიცხავ, რომ მსჯელობისა და მუშაობის პროცესში, შესაძლოა, საწოლების რიცხვი გაიზარდოს. დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ არ შემცირდება.

- არარეალურ პროექტებზე საუბრობდით, რა ხარვეზებს ხედავდით „ადითის“ მიერ შედგენილ პროექტებში?

- ფაქტი თავად საუბრობს იმაზე, რომ მათი პროექტები არარეალური იყო. გულწრფელად გითხრათ, ჩემი კომპეტენციის ფარგლებს აბსოლუტურად სცილდება ის, რომ მყარ იურიდიულ ნიუანსებზე დაყრდნობილი დასკვნა გავაკეთო ამ ფაქტებთან დაკავშირებით, მაგრამ ზედაპირული ანალიზიც კი აჩვენებს იმას, რომ ის მენეჯმენტი და პირობები, რაც აქამდე არსებობდა, აბსოლუტურად შეუსაბამო იყო რეალობასთან და საჭიროებებთან. ამიტომაც მივიღეთ ასეთი შედეგი, რვავე რაიონში ყველაფერი განადგურდა. ანუ, ვერ ვიტყვით იმას, რომ ნულიდან ვიწყებთ ყველაფრის შენებას. ამჯერად ფაქტიურად მინუსებიდან გვიწევს საქმის კეთება. ის, რაც მე ამ ქალაქებში ვნახე, არის დიდი უპასუხისმგებლობა საქმისა და მედპერსონალისადმი. სხვა რომ აღარაფერზე ვისაუბროთ, ისიც საკმარისია წარმოვიდგინოთ, როგორი პირობები იქნება შეშით გამთბარ საავადმყოფოში. აქედან გამომდინარე, მე ამ ექიმებს განსაკუთრებულად ვაფასებ. ყველა ძალიან მოწადინებული ვართ, რომ ვითარების გაუმჯობესებას დროულად შევუწყოთ ხელი. პირველ რიგში მოგვარდება სახელფასო სისტემა. ცვლილებების გატარება ფაქტიურად თვენახევრის განმავლობაში მოგვიწია და მიმაჩნია, რომ ეს ეტაპი კარგად გადავლახეთ, პროგრესი შევძელით.

რაც შეეხება „ადითის“ თვითნებობას, რომელიც წლების განმავლობაში გრძელდებოდა, ვერ ვხვდები ასე რატომ ხდებოდა, რადგან ეს ყველასთვის წამგებიანი იყო. ვითარებიდან გამოსავალი იყო არა იმაში, რა სტრატეგია შეგვემუშავებინა სამომავლოდ, არამედ, პირველივე დღეებში ჩვენს ორგანიზაციას იმაზე ფიქრი უწევდა, რა უშველოს პაციენტებს და იმ პერსონალს, რომლებიც კლინიკებში მუშაობენ. ექიმებს, რომელთაც 7-8 თვე ხელფასები არ აქვთ აღებული კიდევ ვერ იღებენ ამ დავალიანებას, რადგანაც ჩვენს ახლადშექმნილ ქსელს არანაირი ფინანსური შესაძლებლობა და ბერკეტი არ ჰქონდა იმისა, რომ ეს პრობლემა გადაეჭრა. ანუ, ამ საავადმყოფოების სახელმწიფო მმართველობაში დაბრუნება, პირდაპირ გეტყვით, ჩვენი ქვეყნისთვის მომხიბვლელი წინადადება სულაც არ იყო, თუმცა საქმე გვაქვს ფორსმაჟორულ ვითარებასთან, რაც სპეციფიურ მიდგომას საჭიროებს“.

ცნობილია რომ, ათეულობით წლის მანძილზე დედოფლისწყაროში სამედიცინო აპარატურის განახლება ვერ ხერხდებოდა. მოძველებული ტექნიკა კი თანამედროვე სტანდარტებს ველარ პასუხობს და ხშირად დიაგნოზის დასმაც შეუძლებელი ხდებოდა. ხშირად ისმოდა უკმაყოფილო პაციენტთა პრეტენზიებიც. რამდენიმე თვის წინ დედოფლისწყაროს გამგებელმა ირაკლი შიოლაშვილმა პირველად სწორედ „ობიექტივის“ პირდაპირ ეთერში გააჟღერა, რომ ამერიკული მხარე მილიონ დოლარზე მეტი ღირებულების ახალ თანამედროვე აპარატურას საჩუქრად დედოფლისწყაროს გადასცემდა. დედოფლისწყაროში ამერიკული საჩუქარი, სამედიცინო აპარატურით დატვირთული რიგით მეორე კონტეინერი უკვე შემოვიდა, რომელიც დედოფლისწყაროში დასაწყობდა. ტექნიკა მუნიციპალიტეტის ბალანსზე გადავა და მას თვითმმართველობის ორგანო საჭიროებისამებრ განკარგავს. უახლოეს მომავალში ამერიკიდან ტვირთს დედოფლისწყაროში რამდენიმე ეტაპად კიდევ შეიტანენ.

გურამ ამირიძე („ექსჯორჯია“-ს ვიცეპრეზიდენტი): „ჩვენ წარმოვადგენთ საქართველოში პირველ ამერიკულ არასამთავრობო ორგანიზაციას. დედოფლისწყაროში ამერიკიდან ჰუმანიტარული დახმარების სახით, ეტაპობრივად, კონტეინერებით ჩამოგვაქვს მედაღჭურვილობა და მედიკალური საგნები, რომლებიც გამოადგება როგორც დედოფლისწყაროს ამბულატორიას, ასევე საავადმყოფოს. ამის გარდა კიდევ გვაქვს დაგეგმილი სხვა კონტეინერების შემოტანა. ძალიან კარგი და მეგობრული ურთიერთობა გვაქვს დედოფლისწყაროს რაიონის ხელმძღვანელობასთან. ჯანდაცვის სამინისტროსთან ერთად განვიხილეთ, მიზანმიმართულ დახმარებას რომელი რაიონები საჭიროებდა და პირველ რიგში გადავწყვიტეთ დედოფლისწყაროს დავეხმაროთ და ჩემი ორგანიზაციით, გულით და სულით გვერდში ვუდგავართ დედოფლისწყაროს. ეს საჩუქარი არის ამერიკის შეერთებული შტატების დეპარტამენტიდან, რომელიც აუცილებლად წაადგება თქვენს ხალხს. სამედიცინო აპარატურის განაწილება უკვე ადგილობრივი ხელისუფლების გადასაწყვეტია, გამგეობა განკარგავს, რა ნაწილი წავა საავადმყოფოში და რა დარჩება პოლიკლინიკაში.“

ხათუნა აგლაძე („რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი-დედოფლისწყაროს“ დირექტორი): „ეს აპარატურა ძალიან დიდი და მნიშვნელოვანი შენაძენია ჩვენთვის. სულ მალე დედოფლისწყაროს ახალი, თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი საავადმყოფო ექნება და ეს დიდი საჩუქარი იქნება დედოფლისწყაროსთვის. ძალიან დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ყველას, ვინც ამ საქმეში ენერგია არ დაიშურა. მომსახურების ხარისხი ნამდვილად გაუმჯობესდება და დიაგნოსტიკური მომსახურების ფართო სპექტრს შევთავაზებთ მოსახლეობას. მაგრამ, ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროს სადაზღვევო კომპანიები ძალიან დიდი პრივილეგიებით სარგებლობდნენ. „არქიმედეს“ მეზობელ რაიონში აქვს ახალი კლინიკა და მაქსიმალურად ცდილობდა და ცდილობს დაზღვეული ბენეფიციარები ჩვენი კლინიკიდან მათთან გადაამისამართოს. ამჟამადაც ასეთი ვითარებაა, ხელისუფლების ცვლილების შემდეგაც მათი ამგვარი მიდგომა არ შეცვლილა.

- მაშინ, როდესაც დაზღვევის სისტემა მოქმედებს, დედოფლისწყაროში ახალი კლინიკის გახსნის შემთხვევაშიც ეს პრობლემა დარჩება, ანუ, „არქიმედე“ ისევ მოახდენს პაციენტების გადამისამართებას, რაში ხედავთ ვითარებიდან გამოსავალს?

- ეს არის გლობალური პრობლემა. ბუნებრივია, სადაზღვევო კომპანია დაინტერესებულია, რაც შეიძლება ნაკლები ხარჯი გაიღოს და მეტი მოგება ნახოს. სადაზღვევო კომპანია გარდა იმისა, რომ ჩვენი პარტნიორია, პარალელურად არის ჩვენი კონკურენტიც, რადგან საკუთარი კლინიკა გაჩნია მეზობელ ქალაქში. ის, რაც ახლა ხდება ძველი პრობლემების გადმონაშთია. ჩვენი მოლაპარაკების გზით ეს პრობლემა ძნელი გადასაჭრელი იქნება. მითუმეტეს, რომ ამ ეტაპზე კონკურენტულ გარემოში ჩვენ ვაგებთ, რადგან მათი ინფრასტრუქტურა ახალია, ჩვენი კი კატასტროფული. პაციენტისთვისაც რთულია არჩევანის გაკეთება.

გამოსავალი ასეთია: უნდა მოწესრიგდეს ჩვენი ინფრასტრუქტურა, რათა პაციენტს ორ კარგ პირობას შორის ჰქონდეს არჩევანის გაკეთების საშუალება. ასევე, აუცილებელია, სახელმწიფოს მხრიდან ღონისძიებების გატარება, რათა აღარ მოხდეს ვინმეს პრივილეგირებულ ვითარებაში ჩაყენება და ამით სხვა დაწესებულებების დაზარალება.

ილია მარტყოფლიშვილი

მეცხვარეებმა ხელისუფლებას პრობლემები გააცნეს

მეცხვარეთა ასოციაცია ხელისუფლებისგან დახმარებას ითხოვს. ასოციაცია დარგში არსებულ პრობლემებზე სასაუბროდ პარლამენტის, სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საერთაშორისო დონორების წარმომადგენლებს შეხვდა. როგორც ასოციაციის ხელმძღვანელი ბექა გონაშვილი აცხადებს, სერიოზული პრობლემებია საძოვრებთან და მიწის მაღალ გადასახადებთან დაკავშირებით, რაც დარგის რენტაბელობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს და ქართულ ცხვარს მსოფლიო ბაზარზე არაკონკურენტუნარიანს ხდის.

კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად და მეცხვარეობის დარგის აქტუალურ თემებზე სასაუბროდ, თბილისში კახეთიდან და ქვემო ქართლიდან ოცდაათამდე მეცხვარე ჩამოვიდა. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის აგრარული კომიტეტის თავმჯდომარე გიგლა აგულაშვილი, სოფლის მეურნეობის სექტორის ასოციაციების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მეცხვარეებმა ისაუბრეს საძოვრებზე მაღალი საიჯარო გადასახადების, პირუტყვის გადასარეკი ტრასების ინფრასტრუქტურის, ცხვრის გასაღების ბაზრების, პირუტყვის გავრცელებული დაავადებების, სადაზღვევო სისტემის არარსებობის და დარგში არსებულ კიდევ მრავალ აქტუალურ საკითხზე.

„ჩვენ მზად ვართ თქვენთან ერთად დავიწყოთ მუშაობა მეცხვარეობის განვითარების სახელმწიფო პროგრამაზე, რადგან საკითხი კომპლექსურია და სისტემურ მიდგომას საჭიროებს. მომავალი წლიდან მეცხვარეებს მეტი შესაძლებლობა ექნებათ გამოიყენონ შეღავათიანი აგროკრედიტის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც მომავალი წლიდან უკვე სახეშეცვლილი იქნება, ახალი ფორმულით, სადაც 50 პროცენტი სახელმწიფო გრანტი იქნება, 40 პროცენტი კრედიტი, ხოლო დარჩენილი 10 პროცენტი — ფერმერის მხრიდან თანადაფინანსება. ასევე მომავალი წლის ბიუჯეტში უკვე ჩადებულია მეცხოველეობის სასელექციო ფერმის გაკეთება, რაც თავისთავად ცხვარსაც მოიცავს,” – განაცხადა კონფერენციაზე სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ დავით გალეგაშვილმა.

კონფერენციის ბოლოს მონაწილეებმა ქვეყნის ხელისუფლებისადმი სპეციალური მიმართვის ტექსტი შეიმუშავეს, სადაც ხაზი გაუსვეს თავიანთ მზადყოფნას ქვეყნის ხელისუფლებასთან ერთად დაიწყონ მუშაობა მეცხვარეობის დარგის განვითარებისთვის.

როგორც მეცხვარეთა ასოციაციის თავმჯდომარე ბექა გონაშვილმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, ეს გახლდათ მეცხვარეების პირველი კონფერენცია. მის ჩატარებამდე კი ასოციაციამ ყველა ქალაქი მოიარა და ადგილობრივ მეცხვარეებს შეხვდა. რეგიონებში რამდენიმე შეხვედრის გამართვის შემდეგ კი ხელისუფლებამდე მისატანი ძირითადი საკითხებიც გამოიკვეთა. მსგავსი შეხვედრა გასულ კვირას დედოფლისწყაროს ფერმერთა სახლშიც მოეწყო.

„ვფიქრობ, კონფერენციამ ჩაიარა საკმაოდ ნაყოფიერად. გვესწრებოდნენ როგორც სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე და სხვა სამსახურების უფროსები, ასევე პარლამენტის აგრარული კომიტეტის თავჯდომარე და წევრები, სხვა სამინისტროების, დონორი და საერთაშორისო ორგანიზაციების და საქპატენტის წარმომადგენლები. მათი დასწრება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ჩვენთვის, რადგან მომავალში ჩვენს შენიშვნებს პრაქტიკული განხორციელება მოჰყვეს. შეხვედრის მიზანი იყო გვესაუბრა იმ პრობლემებზე რომლებიც დარგში არსებობს და ასევე შეგვეთავაზებინა გზები ამ პრობლემების მოსაგვარებლად. ჩანს, რომ ხელისუფლებამ ყურადღებით მოგვისმინა. მაგალითად, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, დავით გალეგაშვილი პირველ რიგში ტრასების მოგვარებაში დახმარებას დაგვპირდა, ასევე დაიგეგმა შეხვედრები მომავალ კვირაში საქ პატენტში და ასევე კოოპერატივების ხელშეწყობის სააგენტოში. ასე რომ, კონკრეტულ შედეგებს და ქმედით ნაბიჯებს უკვე ველოდებით,“ - აღნიშნავს ბექა გონაშვილი.

ილია მარტყოფლიშვილი

სარედაქციო ფოსტა

ტკივილს ნუ მივაყენებთ ერთმანეთს

წნორიდან რედაქციაში წერილი მოვიდა. მისი ავტორი პენსიონერი პედაგოგი მანანა ნადირაშვილი გახლავთ. იგი ათეული წლების განმავლობაში წნორის N1 საჯარო სკოლაში მათემატიკას ასწავლიდა. მის ხელში მრავალი თაობა და ბევრი ღირსეული მოქალაქე აღიზარდა. ქალბატონი მანანა წნორელებისთის დიდ ავტორიტეტს წარმოადგენს, მის სიტყვას ფასი სდევს და დიდი პატივისცემით სარგებლობს.

„- პატივცემულო რედაქცია, ამ წერილს წნორიდან გწერთ ორი მიზეზის გამო; ერთი, რომ ჩვენს რაიონს გაზეთი აღარ გვაქვს და მეორე, რომ პიროვნება, რომლის შესახებაც მინდა მოგითხროთ, თქვენს რაიონშიც მუშაობს. ეს გახლავთ ექიმი-გინეკოლოგი გია მოსულიშვილი.

კარგი ექიმის ავტორიტეტს დიდი გაფრთხილება სჭირდება

ამბავი კი ასეთია: მიმდინარე წლის სექტემბერში ქ. წნორში მომხდარმა ტრაგედიამ შეძრა სიღნაღის რაიონის მოსახლეობა (და არა მარტო სიღნაღის), გარდაიცვალა ახალგაზრდა მშობიარე ქალი, მაგრამ ამავე დროს დიდი სულიერი და ფიზიკური ტრავმა მიიღო ექიმმა, რომელმაც ვერ შეძლო (და არა არ შეძლო, ან მოკლა, ან შეცდომა დაუშვა,ან გულგრილად, დაუდევრად, უსულგულოდ მოექცა) სიკვდილის დამარცხება. მან ყველა ღონე იხმარა ახალგაზრდა ქალის გადასარჩენად. „კატასტროფით“ გამოძახებული ექიმებიც ოთხი საათის განმავლობაში, მასთან ერთად, ებრძოდნენ სიკვდილს, მაგრამ ვერც ისინი გახდნენ ვერაფერს.

პაციენტის გარდაცვალების შემდეგ ექიმი მის ახლობლებთან გამოვიდა და ვაჟკაცურად მიმართა (იგი არ დამალულა, არც არსად გაქცეულა): „ ყველა ძალა ვიხმარეთ მის გადასარჩენად, მაგრამ ვერ შევძელით. არაფერი არ დაგვიკლია მისთვის, ჩემი ბრალი რომ ყოფილიყო, მე თვითონ გამოვუტანდი ჩემს თავს განაჩენს, მაგრამ თუ თქვენ შვებას მოგცემთ ჩემი სიკვდილი, ან შეურაცყოფა, აქ ვარ და რაც გინდათ, ის მიქენითო“.

მომხდარი უბედური შემთხვევის გამო აღელვებული და მდგომარეობიდან გამოსული ახლობლები დაუნდობლად ეცნენ ექიმს, მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა, შენობა და ტექნიკა კი ვანდალურად დაარბიეს.

გარდაცვლილის ოჯახის წევრები სიკვდილმა დათრგუნა, ექიმი კი პაციენტის სიკვდილმაც და მისი ახლობლების მიერ მიყენებულმა შეურაცხყოფამაც. დაისაჯა კაცი, რომელიც 40 წლის მანძილზე დაუღალავად იდგა ადამიანების ჯანმრთელობის სადარაჯოზე. დაისაჯა უაღრესად მორწმუნე, ჰუმანური, კაცთმოყვარე, უკეთილშობილესი პიროვნება (ამას აუცილებლად დაადასტურებს რაიონის მოსახლეობის 100% თუ არა, 99% მაინც. პიროვნება, რომლის არც ცოდნის დონე დაუწუნებია არავის (სადაც კი უმუშავია)), არც ადამიანობა, არც ვაჟკაცობა და არც შრომის და თავგანწირვის უნარი, მას ბევჯერ საკუთარი სისხლი მიუცია პაციენტისთვის, ბევრი ღამეები უთენებია მათ გადასარჩენად.

გარდაცვლილის ახლობლებმა არც ეს შეურაცყოფა აკმარეს ამ სიკეთისმკეთებელ ადამიანს. მაშინ, როცა იგი მომხდარის გამო გულის შეტევით იწვა საავადმყოფოში, საპროტესტო აქცია გამართეს და მას მკვლელი უწოდეს, დაუწყეს მუქარა და მომხდარის გამო მის სასტიკ დასჯას ითხოვდნენ.

ახლა კი დავრწმუნდი, რომ მართალია–„დამიჭირეს, მკლავი მომჭრეს, რატომ კარგი აგიგიაო“, მისმა ხელებმა ხომ უამრავი პაციენტი იხსნა სიკვდილისაგან?

თვითონ გარდაცვლილის სულს რომ შეეძლოს ჩვენთან საუბარი, დარწმუნებული ვარ, იგი უკეთ მოგვიყვებოდა იმ დიდი თავგანწირული ბრძოლის შესახებ, რაც ექიმმა გასწია მის გადასარჩენად. ეს მისთვის მესამე მშობიარობა ოყო, მეორე ბავშვიც ამ ექიმმა ამშობიარა საკეისრო კვეთით. თუ იგი უცოდინარი, ან დაუდევარი იყო, პაციენტი ხომ აღარ მოისურვებდა ამ ექიმთან მოსვლას?!

აბა, დავდოთ სასწორის ერთ მხარეს ავბედითი შემთხვევა და მეორე მხარეს მისი ხელით და მისი ცოდნით სიცოცხლეგადარჩენილთა რაოდენობა. მიუხედავად იმისა, რომ სიკვდილს ვერაფერი გადასწონის, მის მიერ გადარჩენილთა რაოდენობა ისეთი დიდია, რომ ამ უბედურ შემთხვევას, რომელიც უფლის ნებით მოხდა და არა ექიმის შეცდომით ან უცოდინრობით, მაინც გადაამეტებს.

ახლა კი მოვისმინოთ, თუ რას ამბობენ მის მიერ გადარჩენილი პაციენტები:

–„ლეგენდა არ გეგონოთ, ზღაპარშიც არ ხდება, რაც მე გადამხდა. დიახ, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. ჩემს თავზე რომ არ გამომეცადა, ასეთი რამ სხვას რომ მოეყოლა ჩემთვის, ზღაპარი მეგონებოდა. მართლაც, საოცრება მოახდინა იმ დღით გინეკოლოგმა გია მოსულიშვილმა. 1994 წლის 14 დეკემბერს (მაშინ, როცა შუქები არ გვქონდა და მთელი ქვეყანა ბნელეთში იყო ჩაძირული), უფალს თვალცრემლიანი ვემუდარებოდი შველას, ვიგლოვდი სიკვდილის პირას მისულ ჩემს თავს და ჩემი 15 წლის ვაჟიშვილის მომავალ ობლობას. მაშინ როცა, ყოველგვარი იმედი გადამეწურა, მხსნელად მომევლინა გია მოსულიშვილი, დამიყვავა, დამამშვიდა, გადარჩენის იმედი ჩამისახა და მედპერსონალს დაავალა, სასწრაფოდ მოემზადებინათ საოპერაციო. ბუნტად ვხედავდი ჩემს ირგვლივ მოფუსფუსე ადამიანებს. ოპერაცია არ მახსოვს, გონზე მოსულს, რაც პირველი დავინახე და აღვიქვი, ჩემი ვაჟიშვილის სიხარულის ცრემლით დანამული მომღიმარე თვალები იყო. გონება გამინათდა და თანდათანობით შევეცადე, სიზმრად ნანახი რეალობაში აღმედგინა. დიახ, ძნელად, თუმცა ბუნდოვნად ვიხსენებდი იმ ადამიანთა სახეებს, ვინც საოპერაციოში გვერდითი სარეცელიდან სისხლს მისხამდნენ.ასეთი კი თურმე ოცი ადამიანი იყო. უფალმა დალოცოს მათი მოდგმა და ნაშიერი ასეთი სიკეთის გაკეთებისთვის. მართლაც საოცრება იყო, ლამფის შუქზე ისეთი რთული ოპერაციის გაკეთება, როცა გადარჩენის 1%-იც კი კითხვის ნიშნის ქვეშ იყო. დიახ, გია ექიმმა სიკვდილი დაამარცხა. დაამარცხა თანმხლები მედპერსონალის დახმარებით. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ იგი არის დიდი ცოდნის და პრაქტიკული გამოცდილების მქონე ექიმი, რაც მის პროფესიონალიზმზე მიგვანიშნებს.

მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე გია ექიმის მოვალე ვართ მეც და ჩემი ახლობლებიც. მის დიდ სიკეთეს

ვერ გადავიხდი.

ლეილა მირაქოვა.

“- 1999 წელს მძიმე ორსულობა მერგო წილად, მასზე ძნელი კი მშობიარობა მქონდა. ბავშვი ხუთი კილოგრამი დაიბადა. აღარავის ეგონა არც ჩემი და არც ჩემი შვილის გადარჩენა. თუ არა გია ექიმის თავგანწირული შრომა, პირველივე მშობიარობის მსხვერპლნი ვიქნებოდით მეც და ჩემი შვილიც. ასეთივე ძნელი მშობიარობა მქონდა

მეორედ, 2002 წელს, აქაც გია ექიმმა მიშველა.

ახლა ბედნიერი ვარ, მყავს ორი შვილი და მათთან ერთად ვხარობ. კიდევ ვაპირებ შვილის გაჩენას იმ იმედით, რომ გია ექიმი კვლავ გადამარჩენს. კარგ პროფესიონალიზმთან ერთად, იგი არაჩვეულებრივი პიროვნებაა. უფალს ვთხოვ, იცოცხლოს დიდხანს, ჩვენი რაიონის ახალგაზრდა ქალების საიმედოდ“;’

თამუნა ბერიაშვილი

- „კაცი, რომელიც რაიონს ეამაყება, რომელსაც ყველა კეთილი ღიმილით და სიყვარულით ესალმება, განა შეიძლება მკვლელი იყოს? მან ჩემი შვილის სიცოცხლე მაჩუქა. შეუძლებელი შესძლო. ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ჩემს შვილს ყველა ბედნიერ დედასთან ერთად, თვითონაც ბედნიერს ევლო დედამიწაზე.

გია ექიმმა უამრავი სიცოცხლე მოავლინა ამქვეყნად, უამრავი ბავშვი გადაარჩინა ობლობას. ამჯერად კი მან ვერ აჯობა სიკვდილს. დარწმუნებული ვარ, მან ამისთვის ბევრი იბრძოლა და ნახევარი სიცოცხლე და ჯანმრთელობაც იქ დაასრულა , მაგრამ ვერ გაიმარჯვა. ალბათ, უფალმა ინება ასე“.

იზა ნარინდოშვილი

- „ ალბათ გია მოსულიშვილის ვალიდან ჩვენი შთამომავლობაც კი ვერ ამოვა ვერასოდეს, რადგან მან შეუნარჩუნა ჩვენს ოჯახს სამი ადამიანის სიცოცხლე, (ბებიას, შვილს და შვილიშვილს) მან სამ თაობას გვაჩუქა სიცოცხლე, რითაც ჩვენი ოჯახი დიდ ტრაგედიას გადაარჩინა.

22 წლის წინათ ჩემს შვილს, მეგის, ურთულესი მშობიარობა ჰქონდა. გიამ სიკვდილისაგან იხსნა ჩემი შვილის და შვილიშვილის სიცოცხლე, (ის ბავშვი ახლა 22 წლის ქალიშვილია) 15 წლის წინათ კი (უკიდურესი გაჭირვების პერიოდში) მე თვითონ მიიმის ოპერაცია გამიკეთა, რითაც ხელახლა მომავლინა ამქვეყნად.

მარჯვენას დავულოცავ ამ სიკეთით სავსე კაცს, ვლოცავ მის შთმომავლობას,მისი იმედი არ მოაკლოს უფალმა ჩვენი რაიონის ქალბატონებს და მათ ოჯახებს. ყველა ჩვენთაგანი მოვალეა, დავიცვათ და გავუფრთხილდეთ მის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას“.

ესმა უსუფაშვილი

მეზობლების და თანაქალაქელების დახასიათებიდან კი ასეთ ფრაზებს მოგახსენებთ:

-“ ამბობენ, ღმერთი თავის რჩეულებს გამოცდას უწყობსო, ალბათ გიას ღმერთმა გამოცდა მოუწყო.

ნ. ჩუთლაშვილი

- “ მადლი ქენი, ქვაზე დადე, გაიარე, წინ დაგხვდებაო“- აბა სად არის მადლის დაფასება?

ე.ჯალიაშვილი

- “ ოქრო კაცია“-კ. მახარაშვილი

-“მაგნაირი გულის ადამიანები იშვიათები არიან“.

ა. ინაშვილი

-“ რომ შეიძლებოდეს, ჩემი სიცოცხლის ნაწილსაც კი ვაჩუქებდი, ისეთი კარგი ადამიანია“. თ. ერიაშვილი

- “ ასეთი ალალი და სამართლიანი კაცი მეორე არ მეგულება“

ნ. კორახაშვილი

-“ ეეხ, ადამიანების უმადურობაზე ცუდი არაფერია, სიკეთის დაუნახაობა დიდი ცოდვაა“.

ვ. ზედელაშვილი

-“ მაგას იმდენი სიკეთე აქვს გაკეთებული, ჩამოთვლაც კი არ შეიძლება“.

თ. ელაშვილი

რადგან ერთი სტატია მეტს ვერ დაიტევდა, ამიტომ აქ შევჩერდები, მე კი დიდი თანაგრძნობით მოგმართავთ:

გარდაცვლილის ოჯახის წევრებო და ახლობლებო! ყველა საკუთარი ტკივილივით ვიზიარებთ თქვენი ოჯახის ტრაგედიას, გითანაგრძნობთ იმ დიდი უბედურების გამო, რაც თავს დაგატყდათ, მაგრამ, ამავე დროს უდიდეს თანაგრძნობას და თანადგომას ვუცხადებთ ექიმს, რომელიც ამ ავბედითი შემთხვევის უდანაშაულო მსხვერპლი შეიქმნა.

მე მჯერა, მას, რომ სიცოცხლის გაცვლა შეეძლოს, წარბშეუხრელად უბადლებდა იმ ახალგაზრდა ქალს. ამიტომ, ჩემი დიდი თხოვნაა ყველას მიმართ, ვიყოთ ჰუმანურები, გავუფრთხილდეთ ერთმნეთის სიცოცხლეს და ჩვენი დაუფიქრებელი საქციელით და ზედმეტი ემოციებით წინ ნუ აღვუდგებით უფლის ნებას, ტკივილს ნუ მივაყენებთ ერთმანეთს.

მანანა ნადირაშვილი.

უკვე რამდენიმე წელია, ექიმი გია მოსულიშვილი დედოფლისწყაროს საავადმყოფოს გინეკოლოგიური განყოფილების გამგეა. თავისი კერძო კლინიკის პარარელურად, იგი ერთგულად ემსახურებოდა ჩვენი რაიონის პაციენტებსაც. მადლიერიც ბევრი ჰყავს- გვესაუბრება გინეკოლოგი გულიკო ყოჩიაშვილი: – ბატონი გია უმაღლესი რანგის სპეციალისტია. მას უამრავჯერ დაუმარცხებია სიკვდილი, მაგრამ ექიმის ცხოვრებაში არის მომენტები, როცა ყველა მცდელობის მიუხედავად, სასურველ შედეგს ვერ აღწევ. ხანდახან გინეკოლოგიურ გართულებასთან ერთად არის გვერდითი დაავადებები. რომელიც ერთობლიობაში ფატალური შედეგით მთავრდება. ასე იყო ამ კონკრეტულ ვითარებაშიც. ვერავინ იტყვის ბატონი გიას არაკვალიფიციურობას, გულგრილობას, უპასუხისმგებლობას. პირიქით, ის პროფესიონალი გინეკოლოგ-ონკოლოგია და ბევჯერ დაუმარცხებია სიკვდილი, მაგრამ ხანდახან თავს ზევით ძალა არ არის. ის იშვიათი ადამიანია-კეთილი, ჰუმანური. ბევჯერ უანგაროდ, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, საკმაოდ რთული ოპერაცია ჩაუტარებია, დახმარებია ეკონომიურად გაჭირვებულ ადამიანებს, გაუღია საკუთარი სისხლი ავადმყოფის გადასარჩენად. მისთვის, ჰიპოკრატეს ფიცი ცხოვრების მრწამსია.არასოდეს მახსოვს, დღე-ღამის ნებისმიერ დროს მისთვის დაგვერეკოს და 15-20 წუთში აქ არ გაჩენილიყო. ძალიან დაგვწყდა გული, როცა გავიგეთ იმ აჟიტირებული ქმედების შესახებ- მას პაციენტის ახლოლებმა მიაყენეს ფიზიკური, სულიერი შეურაცხყოფა და მატერიალური ზარალი. ამდენი სიკეთის გამკეთებელს ასე არ უნდა მოჰქცეოდნენ. კარგად გვესმის, რომ პაციენტის პატრონები გამწარებულები იყვნენ, ვუთანაგრძნიბთ მათ, მაგრამ მტყუან-მართალი ხომ უნდა გაირჩეს!?

მთელი ჩვენი კოლექტივის სახელით დამდეგ შობა-ახალ წელს ვულოცავ ბატონ გიას და მოვუწოდებ, გამოიჩინოს სიმტკიცე, მხნეობა, მოიკრიბოს ძალები და თავის ცოდნა და გამოცდილება კვლავაც მოახმაროს ჩვენი ხალხის ჯანმრთელობის დაცვის საპატიო საქმეს. ჩვენ გვჯერა მისი.

ამ ამბიდან ჩვენ ერთი დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ: ნუ მოვექცევით ერთმანეთს მტრებივით უსაშველო, გაუსაძლისი ტკივილის დროსაც კი. შეგვეძლოს, შევინარჩუნოთ საღი აზრი და ვიყოთ მიმტევებლები!

ნაირა გორაშვილი

კომპიუტერული თამაშები- აგრესიული მომავალი თაობის საფუძველი?!

ჩემს წინ ბავშვის მიერ მოქმედების ამსახველი ნახატი დევს. თეთრ ფურცელზე, ფანქრით სამი პერსონაჟია ასახული, ერთს სასროლი უკავია ხელთ და მეორეს ესვრის, მესამე პერსონაჟი დაბლა გდია. რა არის ამ ნახატში ასახული? -ვსვამ ტრადიციულ კითხვას, რადგან ბავშვების ნახატი ყოველთვის თავად მათვე თუ არ აახსნევინე, უფროსებს გვიჭირს მათი ფანტაზიის გაგება. -ისიც მიხსნის,-„ ჩემი მეგობარი აქცევს ჩემს ძალიან კარგ მეგობარს, მე კი ამის გამო პირდაპირ იარაღს ვიღებ და ვესვრი იმ მეგობარს, რომელმაც ჩემი მეორე მეგობარი წააქცია.“- გაოგნებული ვარ და აგრესიის საფუძველს ვეძებ....

საფუძველს ერთ ინციდენტში ვპოულობ. ერთ დღეს ბაღიდან მომავალმა ჩემმა შვილმა აიჩემა, მთელი საღამო ერთი და იმავეს იმეორებდა -დედა ჯეტია იცი?- სიტყვა ვერ გავიგე კარგად და მისი გამეორება მოვითხოვე, -იქნებ კიდევ თქვა ეგ სიტყვა, რა არის ჯეტია?-ჯეტია დედა, ხო, ჯე-ტი-ა, რით ვერ გაიგე! სახლში რომ მივალთ, გუგლში ამიკრიფე ჯეტია, ბაღში ბავშვები ვინც არიან, ყველა მაგას უყურებს, ყველა მაგ თამაშზე ლაპარაკობს, თამაშობენ დედა, გესმის? მერე ბაღში მოდიან და ვითომ ჯეტიები არიან, ჩხუბობენ, გესმის?! ხოდა მეც მომიკრიფე, რომ ვითამაშო და მერე მეც კარგად ვეჩხუბო ყველას!-მეუბნება 5 წლის ბავშვი, გაოგნებული მივწვდი ჩემს ბავშვობას და მოგონებებიდან ვერაფრით აღვიდგინე რაიმე ამის მსგავსი. მაშ რა ხდება ახლა?! მიზეზი, როგორც ჩანს, ის კომპიუტერული თამაშებია, რომელიც აგრესიითაა სავსე და რომელიც ჩვენი პატარების გონებაში ძალიან ადვილად, მაგრამ დამღუპველად სახლდება.

თითქოს ჩემს აზრებს კითხულობდნენო, ამ ამბიდან ზუსტად ერთ კვირაში საბავშვო ბაღის პედაგოგებმა(№2ბაგა-ბაღის) მაია გაგნიაშვილმა და მარინე ჯორკოშვილმა მშობელთა კრება ჩაატარეს, კრების მთავარი თემა კომპიუტერული გასართობი თამაშები გახლდათ, რაზეც პედაგოგები აღშფოთებას გამოხატავდნენ და მშობლებისგან ითხოვდნენ, რომ მიექციათ ყურადღება საკუთარი შვილებისთვის, რათა ბავშვებისთვის აერიდებინათ აგრესიული თამაშების მავნე ზეგავლენა. მათი სერიოზული აღშფოთება და გულისტკივილი იმას შეეხებოდა, რომ აშკარად ატყობდნენ, ბავშვები ჯგუფში აგრესიას ამჟღავნებდნენ, რაც პედაგოგების მოსაზრებით აშკარად ოჯახურ გარემოში აგრესიული თამაშების ყურებიდან იღებდა სათავეს. უყურებდნენ და შემდეგ ბაღში მათ ხასიათსა და მოქმედებებში ვლინდებოდა, პატარები ამჟღავნებდნენ სწორედ იმ თვისებებს, რაც რობოტებს და კაცისმკვლელ პერსონაჟებს ახასიათებდათ. ანუ ნანახის პრეზენტაციებს ბაღში აწყობდნენ, რაც ხშირად ერთმანეთის მიმართ აგრესიის გამომჟღავნებაში იზრდებოდა. მოკლედ, პატარა აღსაზრდელებში ჩხუბმა და კამათმა ისე საგრძნობლად იმატა, რომ პედაგოგები იძულებულები გახდნენ, მშობლები მოეწვიათ.

სწორედ მაშინ ჩემს ყურში მეორედ გაიჟღერა ე.წ. თამაშმა „ჯეტიამ“, რომელიც მაშინვე მეცნო. გამახსენდა ჩემი შვილის ძალუმი მოთხოვნა და ამ თამაშის ყურების დაუოკებელი სურვილი. მახსოვს ისიც, ბევრმა მშობელმა ეს საკითხი ყურს იქით გაატარა, ბევრს სასაცილოდ არ ეყო ამ საკითხზე თათბირი, ხოლო ზოგიერთი გამოექომაგა კიდეც შვილებს და ახსნეს, რომ ოჯახში ჯეტიას ჩვენი მეუღლეები უყურებენ და ბავშვიც თავისთავად უყურებს, აბა, რა ვქნათო! პირადად ჩემთვის, როგორც მშობლისთვის, ეს საკითხი სახუმარო კი არა, მართლაც მნიშვნელოვანი საკითხი გახლდათ.

მშობელთა კრებიდან სახლში დაბრუნებულმა მაშინვე ავკრიფე ეს „ჯეტია“ და ჰოი, საშინელებავ, ვხედავთ, რომ კაცის სილუეტის რკინის რობოტი დადის და ერთადერთ დაუწერელ წესს ახორციელებს, გზად ვინც კი შეხვდება კლავს და უსისხლოდ ანადგურებს. არ ვიცი, ვინ როგორ გაიგებს ამას, მაგრამ რაკი ბაღის ბავშვებისთვისაც ცნობილია უკვე ესოდენ ცნობილი თამაში, ალბათ უმეტესობამ იცის, თუ რამდენად საშიში და საზარელი საყურებელია ეს ყველაფერი. ამის მერე უფრო უკეთ მივხვდი, თუ რამხელა დატვირთვა ჰქონდა პედაგოგების ჩვენთან შეხვედრას და სავსებით გამართლებულად მივიჩნიე მათი ეს ნაბიჯი. მართლაც ძალიან ძლიერი უნდა იყოს პედაგოგი და ძალიან გულისხმიერად უნდა მუშაობდეს ბავშვებთან, რომ ეს ყველაფერი შენიშნოს, გააანალიზოს და მშობელთან კონტაქტზე გასვლა აუცილებლად ჩათვალოს. უბრალოდ ამგვარი თამაშების ყურება ჩვენთვის, დიდი ადამიანებისთვისაც კი, საშიში და საზარელი საყურებელი აღმოჩნდა და საინტერესოა, რა გაგების მშობელი უნდა იყოს ადამიანი, რომ პატარა ბავშვი ამგვარი რამის საყურებლად გაიმეტოს?! სწორედ აქედან იღებს სათავეს ბავშვებში აგრესიაც, ცემაც, ჩხუბიც და მაგარი ბიჭობის გაგების მცდელობაც აქედანვე იჩენს თავს. თუკი, ბავშვი ყოველდღე ამგვარ ამაზრზენს უყურებს ცხადია ის თავისთავად გახდება აგრესიული, ის ბევრად უფრო თავისუფლად მოუღერებს მუშტს ან ნებისმიერ საგანს მეგობარს, ისე, რომ არც დაფიქრდება. მას შემდეგ, არაერთხელ შევესწარი, როცა შვილთან სათამაშოდ მოსული მეგობრები დაჟინებით ითოვდნენ -„ბოდი ჯეტია ჩავრთოთთო!“ ამაზე მე ძალიან დიდი შეშფოთება გამომიხატავს ბავშვებში და ამიხსნია, რომ ეს საშინელი თამაშია, რომელიც არ უნდა ითამაშონ, ის ძალიან ცუდ თვისებებს აყალიბებს ბავშვებში და რომ ჩვენთან ამ თამაშს შეგნებულად არ უყურებს არავინ!- ვუხსნი მათ, იგებენ და მაშინვე უკან მიაქვთ თავისი მოთხოვნა. მერე კი, უკეთეს რამეს ვთავაზობ, ვრთავ ნებისმიერ ქართულ კინოს, „ბაში-აჩუკს“ ან სხვა რაიმეს და ბავშვები მალე მხიარულდებიან ქართული ფილმის ყურებით და სულაც აღარ ახსენდებათ ის გადარეული „ჯეტია“. თუმცა როგორც ჩანს ბევრი მშობელი ამ საკითხს უგულისყუროდ უდგება და ჩანს მათი ბავშვები კვლავ განაგრძობენ აგრესიული თამაშების ყურებას ოჯახებში, წინაარმდეგ შემთხვევაში ზემოთმოცემული ნახატი არ გაჩნდებოდა.

აღნიშნულ საკითხზე კომენტარები ჩავწერეთ ბაღის და სკოლის პედაგოგებისგან, მცირენლოვანი აღსაზრდელებისგან და რაც მთავარია, ფსიქოლოგისგან.

გიორგი გურაშვილი, 11 წლის, *-მე ვიცი „ჯეტიას“ თამაში რაც არის, ბიჭებს ეგ თამაში ძალიან მოგვწონს და გვიყვარს, მაგრამ დედა არ მაყურებინებს, ამიტომ, როცა მომეცემა საშუალება მეგობართან ვთამაშობ- ხოლმე. რატო მომწონს ეს თამაში? კარგია, იმიტომ, რომ ჩხუბზეა. მე უკვე დიდი ვარ და გათავისებული მაქვს, რომ ეს მხოლოდ ეკრანზეა და რეალურ ცხოვრებაში ჯეტიას საქციელით ნამდვილად არ ვიქცევი. ისე რამდენადაც ვიცი უამრავი ბავშვი ამ თამაშით თამაშობს და ინტერნეტკაფეშიც კი დადიან ამის გამო, რადგან სახლში არ აყურებინებენ.*

მარიამ მეხრიშვილი, 11 წლის,- *თამაშებს კი ვთამაშობ, მაგრამ ამგვარი თამაში არაფერი არ ვიცი, ისე ძალიან არ ვარ გადაყოლილი ამ ყველაფერს, რადგან წიგნის კითხვა უფრო მომწონს, დიდი ხნით კომპიუტერთან დედა არ დამსვამს.*

ნიკა კრავჩენკო,- *ჩემს პატარა ძმას ძალიან უყვარს „ჯეტიას“ თამაში, მისი მეგობრებიც ხშირად უყურებენ, ვიცი ის, რომ თამაში „ჯეტია“ ძალიან მოდურია დღეს და ამით უამრავი ვინმეა გატაცებული, ჩვენს ოჯახში კომპიუტერი არ გვაქვს, თორემ დავინტერესდებოდი და ვნახავდი აუცილებლად, მაგრამ ვიცი, რომ ამას ბევრი ბავშვი თამაშობს.*

მაია გაგნიაშვილი, ბაგა-ბაღის პედაგოგი,-*„მივესალმები თვენს გაზეთს და მადლობას გადაგიხდით და თუ ამ თემას გააშუქებთ, პირადად მე, მაშინ ის კრება სწორედ მაგ საკითხისთვის დავნიშნე, რადგან ამის საჭიროება დავინახე. მახსოვს ბავშვები ძალიან აგრესიულები იყვნენ, ერთმანეთს გამეტებულად ურტყამდნენ არ ინდობდნენ. უამრავი ლიტერატურა წავიკითხე, სანამ მშობლებს ამ თემაზე დაველაპარაკებოდი, ეს თამაშები „ჯეტიას“ ვგულისხმობ, ძალიან აზიანებს და ანგრევს ბავშვის ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ ფსიკიკას, სკოლამდელ ასაკში ყვალაზე რთული პერიოდი აქვს ბავშვს, მაშინ ეყრება საძირკველი მათ შინაგან სამყაროს, მათ ფსიკიკას...დიდმა შეიძლება ითამაშოს, მაგრამ პატარისთვის ეს დაუშვებელია...და რაც მთავარია ეს თამაშები ყველანაირ ლოგიკას მოკლებული თამაშებია. ვიცი ისეთ დროში ვცხოვრობთ, რომ ბავშვს ვერ ავუკრძალავთ კომპიუტერთან ჯდომას, მაგრამ არის მილიონი სხვა თამაშები, სადაც არ არის აგრესია და უფრო საბაზროვნოა. ჩემთვის გაუგებარია და აღშფოთებას გამოვხატავ კიდეც ყოველთვის, თუ რატომ არ აქცევენ ყურადღებას მშობლები, თუ რას თამაშობენ მათი შვილები. მათიც შესაძლოა გავიგო, ყველა გადატვირთული რეჟიმით ვცხოვრობ, ისე, რომ შვილებისთვის ნაკლები დრო გვრჩება, მაგრამ ეს ყველაფერი იმის ფასად არ უნდა გავაკეთოთ, რომ შვილს ცუდი თვისებები და მანერები ჩავუნერგოთ. ყველაზე მეტად, რაც მე მაშინ იმ კრებიდან მეწყინა, ის იყო, რომ მშობლებმა არათუ კარგი გაგებით გაიგეს ეს ჩემგან, არამედ ჩემი ნათქვამი აღიქვეს თითქოს ჩვენ მათ ვუთხარით, რომ მკვლელი შვილები გაგეზრდებათო. ეს რომ გავიგე, გული ძალიან მეტკინა. მე ხომ მართლა მინდოდა დამენახვებინა მათთის, თუ რა საშიშია მათი შვილების ფსიქიკისთვის ეს თამაშები. რომ გაიზრდებიან ეს ბავშვები, ალბათ ითამაშებენ ამ თამაშებსაც, მაგრამ ბაღის ასაკის ბავშვისთვის, ეს ყოვლად დაუშვებელია. მე მათ ვასწავლი, რომ ჭიანჭველაც კი არ მოკლან, რომ არ შეიძლება და შესაბრალისია. მართლა ამ პატარა მწერში კი არაა საქმე, უბრალოდ მე მათ ვასწავლი, რომ არ შეიძლება სიცოცხლე მოუსწრაფონ ყველანაირ სულიერს . „ჯეტიას“ თამაშში კი, უაზრო სროლაა. ბავშვები ხომ სულ პატარები არიან ამისთვის, მათში ხომ ანგელოზია ჩასახლებული, მე მხოლოდ მათი სწორად და კარგ მამულიშვილებად აღზრდა მსურს, ჩემთვის ბაღი მხოლოდ სამსახურში გამოსვლა არ არის, მე ამ ბავშვების ცხოვრებით ვცხოვრობ, მათი სიხარულით ვხალისობ და მათი ტკივილი მტკივა. მიმაჩნია, რომ თითოეულის გამოძერწვაში დიდი წვლილი შემაქვს და ვალდებული ვარ, როცა საჭიროება მოითხოვს მშობლებთანაც ვიმუშავო. ჩემი მაშინდელი შეხვედრის შემდეგ ვამჩნევ, რომ ამას უმეტეს ოჯახში აღარ უყურებენ, მაგრამ მათში აგრესიას კიდევ ვაფიქსირებ, რაც რა თქმა უნდა არ მომწონს, ვცდილობ მე ჩემი კუთხით ვიმუშავო და თავად მივახვედრო ბავშვები, რა არის ცუდი და რა არის მათთვის კარგი!“*

სვეტლანა შალვაშვილი, სკოლის პედაგოგი, -*„მიმაჩნია, რომ კომპიუტერთან ბავშვი ათ წუთზე მეტ ხანს არ უნდა მიუშვას დედამ და არათუ თამაშები, სრულიად უნდა მოარიდოს მას, რადგან კომპიუტერს აქვს ძალიან დიდი გამოსხივება, რაც ადამიანის ორგანიზმს ანგრევს, მით უმეტეს წარმოიდგინეთ რამდენად დააზარალებს ბავშვის თვალებს, მის ფსიქიკას, კომპიუტერი აბეჩავებს დიდსაც და პატარასაც. ამას ბევრად სჯობს, რომ წიგნთან დავაახლოვოთ პატარები და წიგნის ფასი ვასწავლოთ. ძალიან ბევრ დედას სამწუხაროდ უჯობს შვილი კომპიუტერით დააკავოს და გაართოს, რათა თავად საქმე გააკეთოს, უფრო მეტიც ამაყობენ, რომ მათმა შვილმა ყველაფერი იცის, სინამდვილეში მათ არაფერი არ იციან, ეს ყველაფერი კი დამერწმუნეთ მიგვიყვანს იქამდე, რომ საბოლოოდ უწიგნურ თაობას მივიღებთ. დედებს ვურჩევდი ბაღის ასაკიდანვე გაამახვილონ ყურადღება იმაზე, თუ რას ეძიებს მისი შვილი კომპიუტერში და ყველა ღონე იხმარონ მოარიდონ მას.“*

საინტერესოა, რას ამბობს ფსიქოლოგი ბესიკ გიგოლაშვილი, ამ საკითხთან დაკავშირებით-*„კარგად მოგეხსენებათ, რომ მსოფლიო ცივილიზაციის განვითარება თავის თავში გულისხმობს ასევე ბავშვთა და მოზარდთა თამაშების ტექნიკურ თუ ფუნქციურ განვითარებასაც. ბოლო ათწლეულის განმავლობაში განსაკუთრებით შესამჩნევია კომპიუტერული თამშების როლის განუზომელი ზრდა ბავშვთა ცხოვრებაში(თუმცა, ხშირად ბევრად უფროსი ასაკის ადამიანებიც თავს ვერ აღწევენ ხოლმე კომპიუტერული თამაშების ზეგავლენას.) ხსენებული თამაშები სრულიად განსაკუთრებულ დანიშნულებას იძენს ბავშვის პიროვნული ზრდა-განვითარების საქმეში. თუ აქამდე ბავშვი მხოლოდ ყოფითი ან ინტელექტუალური შინაარსის თამაშების მეშვეობით ახდენდა თანდათანობით ხასიათის საზოგადოებრივ თვითდამკვიდრებას და პიროვნული, ინდივიდუალური როლის შეგნებულ, გააზრებულ ათვისებას და თვითრეალიზაციას, ახლა, თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკის განვითარების ეპოქაში, შესაძლებელი შეიქმნა ბავშვის მხრიდან ვირტუალური შინაარსის მქონე, სრულიად ახალი სახის კომპიუტერული თამაშების მეშვეობით საკუთარი პიროვნების მიზნებისა თუ სურვილების თვითგანხორციელებისა და თვითრეალიზაციისკენ შეუგნებელი ან შეგნებული სწრაფვა. როგორც ცნობილია, თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრება ხასიათდება არა მხოლოდ ტემპებითა და დინამიურობით, მისი არსებითი და ორგანული ნიშანია საკუთარი პიროვნული თავისუფლების განხორციელებაც. რადგან დღევანდელი ცხოვრება ყოველთვის ნამდვილად არ იძლევა საშუალებას პიროვნული სურვილების ასრულებისთვის, ქვეცნობიერად ვცდილობთ ხოლმე ჩვენი ამ სურვილების დაკმაყოფილების განცდა თუნდაც სხვადასხვა სახის კომპიუტერული თუ ვირტუალური ფორმის თამაშებში მონაწილეობით მოვიპოვოთ. ასეთ თამაშებში მოპოვებული გამარჯვებით მიღებული პიროვნული სიამოვნება(თვითკმაყოფილება) ხშირად ერთ-ერთი იშვიათი(თუ არა ერთადერთი) საშუალებაა ამ მკაცრსა და ულმობელ ცხოვრებაში მიღწეული კმაყოფილების განცდისა. ბავშვებიც არანაკლებ პატივმოყვარეები არიან ხოლმე, ვიდრე მათი მშობლები და ისინიც ცდილობენ საკუთარ თვითდამკვიდრებას კომპიუტერული თამაშების მეშვეობით. ხსენებული თამაშების პროცესში ბავშვი ირჩევს ბრძოლის სიუჟეტის მქონე თამაშებს, რადგან საბრძოლო შინაარსის მქონე ვარიანტებით უხვადაა გაჯერებული კომპიუტერული „მენიუ“. მსგავსი ვარიანტები, წესისამებრ, ბავშვის ცნობიერებაში პროგოცირებას ახდენს, რომ სიამოვნება მიიღოს ვირტუალური მოწინააღმდეგის განადგურებით. ცხადია, რიგ შემთხვევებში მსგავსი ვირტუალური, კომპიუტერული ბრძოლებით გადაჭარბებული გატაცება მოზარდს ქვეცნობიერად უბიძგებს ხოლმე დესტრუქციული, რაღაცის ან ვიღაცის განადგურების მიზნით განხორციელებული ქმედებისკენ. ამიტომ ერთმნიშვნელოვნად საფრთხილო და დამაფიქრებელია, თუ მშობლები და ახლობლები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ და არ ინტერესდებიან ბავშვის მიერ განხორციელებული კომპიუტერული თამაშების შინაარსით. სასურველია, ბავშვებს ტაქტიანად ჩავუნერგოთ შედარებით უფრო ჰუმანური და ამაღლებული შინაარსის მქონე კომპიუტერული თამაშებით სარგებლობისაკენ მისწრაფება და შეძლებისდაგვარად წავახალისოთ მათი ასეთი ინიციატივა.*

მოვუწოდებ მშობლებს, რომ მოიფიქრონ რაიმე იმისთვის, რომ როგორმე გადააჩვიონ შვილები „ჯეტიას“ თამაშს. აღნიშნული საკითხის უგულებელყოფა იგივეა, რაც დედამ ხელი ჰკრას შვილს და იმ ქუჩისკენ უბიძგოს, სადაც მას ცუდი წრე ელოდება, ჩვენ კი, არაფერი ვიღონოთ იმაზე, რომ ამ მავნე სამეგობროს ავარიდოთ ჩვენი შვილები, საიდანაც მხოლოდ არასწორ ჩამოყალიბებას იღებს მოზარდი. რა საჭიროა ეს ამაზრზენი თამაშები, როდესაც არსებობს არაჩვეულებრივი ქართველი რეჟისორების მიერ კარგად მოფიქრებული და ჭკვიანურად გადაღებული ქართული მხატვრული ფილმები „მაგდანას ლურჯა“, „უდიპლომო სასიძო“, „ქვევრი“ , „ეზოში ავი ძაღლია“, „სხვისი შვილები“, ცნობილი ქართველების მიერ ნაკითხული ლექსები, რასაც 4-5 წლის ასაკის ბავშვი უკვე დიდი ხალისით უსმენს, როდესაც არსებობს „იუმორინას“ ნებისმიერი წლის ჩანაწერი, რომლებსაც ჩვენი შვილები ბევრად უფრო მეტი ინტერესით და ხალისითაც უყურებენ, ვიდრე იმ სისაძაგლეს, რაზეც ზემოთ ვთქვით. და თუ მაინცადამაინც ჩხუბის ყურება გვინდა მათთვის, რაღა მაინცადამაინც მახინჯი რობოტები უნდა ვაყურებინოთ შვილებს, განა არ სჯობია პატრიოტული სულისკვეთებით გაჟღენთილი „ბაში-აჩუკი“, ანდა „გიორგი საკაკაძე“ ვაყურებინოთ ჩვენს პატარებს და ჩვენი ისტორიული წარსულის რეალობის სარკეშიც მძიმე-მძიმედ შევახედოთ, რათა აქედანვე შეისისხლხორცონ, თუ რას ნიშნავდა სამშობლო ქართველებისთვის და პატრიოტიზმის გრძნობით ახლავე გავუჯეროთ სისხლი?!

ლალი მეხრიშვილი

ღონისძიება ლაბირინთში

ახალი წლის მოახლოება იგრძნობა ბავშვთა გასართობ ცენტრ „ლაბირინთის“ მიმდებარე ტერიტორიაზე. ბავშვების, პადაგოგების და მშობლების სიმრავლეა შენობაში, ერთი კლასი გამოდის და მეორე შესასვლელად ემზადება, განწყობა სადღესასწაულოა...

უკვე მესამე წელია რაიონში საბავშვო გასართობი ცენტრი“ლაბირინთი“ ფუნქციონირებს და ცდილობს, აჩვენოს ჩვენს ბავშვებს უფრო ნათელი,ხალისიანი და დაუვიწყარი ბავშვობა. ბავშვების რაოდენობაც დღითი დღე მატულობს აქ. ჩვენი პატარები, რომლებიც დიდად არ არიან განებივრებული მსგავსი გასართობი ცენტრების სიხშირით, ხშირად მოითხოვენ აქ მოსვლას. ის, რა თქმა უნდა, ფასიანია და ფასებიც ხელმისაწვდომია.

დეკემბრის ცივ, გაყინულ დღეს ამ დარბაზში სასიამოვნოდ თბილოდა, სადღესასწაულოდ გამოწყობილი N1 საჯარო სკოლის 2 ბ კლასის მოსწავლეებმა ჯერ თამაშით იჯერეს გული, შემდეგ დები ლოლაშვილების მიერ დადგმულ ინსცენირებაში მიიღეს მონაწილეობა და ბოლოს, მოუთმენლად დაიწყეს კარისკენ ყურება, საიდანაც წუთიწუთზე „სვანეთიდან ჩამოსული თოვლის პაპა“ უნდა შემოსულიყო და მათთვის საჩუქრები მოეტანა. მართლაც, თოვლის პაპის გამოჩენამ დიდი ოვაციები გამოიწვია დარბაზში, ბავშვები სიხარულს სხვადასხვანაირად გამოხატავდნენ, ერთმანეთს საჩუქრებს უმოწმებდნენ,ზოგიერთი თვითონ ინახავდა და მშობელსაც არ ანდობდა,რომ შეენახა, ზოგმა გადაწყვიტა,სახლში და-ძმებისთვის მიეტანა საჩუქარი და მათთან ერთად გაეხსნა. თითოეული მათგანის მოქმედებით კარგად ამოიცნობდით მათ ინდივიდუალურ ხასიათს. თითოეული ასეთი ერთად გატარებული დღე კი ძალიან მნიშვნელოვანია მასწავლებლისთვისაც და მშობლებისთვისაც, არამარტო იმიტომ, რომ კიდევ ერთი ლამაზი ღონისძიება ჩატარდა და ბავშვებმა იმხიარულეს ერთად ყოფნით, არამედ იმიტომაც,რომ კიდევ ბევრი ახალი და ახალი თვისება შევიცანით ჩვენი შვილების და მათ მეგობრების შესახებ, რომელიც მანამდე ჩვენთვის უცნობი იყო.

ასე ლამაზდ დასრულდა საახალწლო ზეიმი 2ბ კლასის მოსწავლეებისთვის,მათ ბედნიერ სახეებზე ეტყობოდათ,რომ დიდხანს, დიდხანს ლამაზად დარჩება მათ მეხსიერებაში ეს ფერადი და დაუვიწყარი დღე.

სტუდია „ლაბირინთს“ კი ვუსურვებთ,კიდევ ბევრი ბავშვისთვის ემასპინძლოს და გაელამაზებინოს ბავშვობის ისედაც დაუვიწყარი და უზრუნველი პერიოდი.

ელზა ხარაშვილი

„შირაქის“ ფოსტა

„ჯანსაღი სიცილი ჯანმრთელობის საწინდარია“

ჯემალ ბაღაშვილი

თავგადაკლული მკითხველი ვარ. წიგნის და პრესის გარეშე არ შემიძლია ყოფნა. მაგრამ ამდენი პრობლემების და ამდენი სარკაზმის, ცინიზმის, ერთიმეორის ტალახში ამოსვრის ამსახველი სტატიების გამო ზოგჯერ გაზეთისკენ გახედვაც არ მინდა. დაიღალა ხალხი ამდენი უარყოფითი ემოციებით, სათუთი გულის მქონე და მომავლის იმედს არ მქონე ახალგაზრდები კი სიცოცხლეს ისწრაფებენ. მოდით, იმაზეც ვწეროთ, რომ ყველაფრის მიუხედავად სიოცხლე მაინც მშვენიერია, მოდით, ესეც რუბრიკა იყოს: „ცხოვრება მშვენიერია“. თუნდაც „შირაქის“ თვეში ერთი გვერდი დაეთმოს იუმორს, როგორც უკუნეთს გაჰკვეთს მზის სხივი, იქნებ ისე გაგვითბოს დამზრალი გულები და ცოტა ხნით მაინც მოგვწყვიტოს სასტიკ რეალობას. მადლობა ღმერთს, იუმორის გრძნობა არ განელებიახალხს, ხანდახან გწეროთ თავსგადახდენილი კურიოზები, ან მეგობრების მონაყოლი და გაგონილი ამბები და ამით შევიმსუმბუქოთ ყოფა. ჩემით დავიწყოთ.

მთელი ჩემი ცხოვრება ერთი დიდი კომედიაა, რადგან განგებამ ისეთი თანამგზავრი მარგუნა წილად, როგორი თარსი და ოინბაზი ბიჭიც იცი ტარიელი ახალგაზრდობაში. თანაკლასელები ვართ. მეორე კლასში არდადაგებიდან რომ დავბრუნდით სკოლაში მერხები ახლად სეღებილი დაგვხვდა და კარგად არ იყო გამშრალი. მოსწავლეები სულ ზედ დავეკარით. შესვენებაზე გარეთ გამოვიქეცით და ზარმა რომ კლასში მოგვიხმო, ტარიელს რვეულიდან შუა ფურცლები ამოუცლია და ჩემს ადგილას დაუფენია ასე სცადა ჩემი ყურადღების მიპყრობა. ბავშვებში ჩურჩული ატყდა. ეჭვი გამოიწვია ტარიელის ასეთმა მოქმედებამ. მე, „ქალმა“ ძალიან ვიწყინე ეს ამბავი და როგორ თუ ბავშვებს თემაზე ალაპარაკებ-მეთქი, დავეუმძრახე. წლრბის განმავლობაში ხმას არ ვცემდი, მხოლოდ მერვე კლასში, როცა ცოტა ჭკუა მომივიდა , ვიფიქრე, რაზე ვჩაგრავ ამ ბიჭს. არაფერ ად მიშავებს, სულ ცდილობს რაიმე მასიამოვნოს და ჩემი ერთი გაღიმება საკმარისია აღმოჩნდა, მას მერე გვერდიდან აღარ მომცილებია. მეათე კლასში ვიყავი, რომ ჩამოვაყალიბეთ დასი და მახლობელ სოფლებში კონცერტებს ვატარებდით. რეჟისორებიც ჩვენ ვიყავით, სცენარისტებიც და ყველაფერიც. ალბათ იმიტომ, რომ სოფლებში სხვა გასართობი არ იყო, ხალხი გვესწრებოდა და არც აპლოსიმენტებს იშურებდნენ ჩვენთვის. ერთი ასეთი კონცერტი არბოშიკში გვქონდა და რომ დავამთავრეთ ჩვენმა პედადოგმა რუსუდან გუგენიშვილმა დაიჟინა: ოზაანში ჩემს ახლობელს ბავშვის მონათვლა უნდა და ნათლიები თქვენ უნდა იყოთო. ტარიელი სასტიკ უარზე დადგა, მაგრამ უარი არ გაუვიდა და წავედით, ად შემიძლია, არ აღვნიშნო ნათლობის ცერემონია, წარმოიადგინეთ, წინ მიდის მღვდელი თავისი „ალილუათი“ ჩვენ უკან მივყვებით ანთებული სანთლებით ხელში. მღვდელი იყო დაბალი ჩია კაცი. მხრებამდე ჩამოშლილი გაბუებული თმა ჩიჩილაკივით ედგა თავზე. შეუსხდნენ მაცდუნებელი ეშმაკები ტარიელს და ანთებული სანტელი მიუტანა თმერბთან. მღვდელს რომ თავზე ბოლი აუვიდა, ჯერ შეგვეშინდა, მაგრამ საბედნიეროდ ალმა პატარა ადგილი აირბინა და ჩაქრა. შეკავებული სიცილიდან კინაღამ ცუდათ გავხდი. საკმაოდ ხალხმრავალი წვეულება ჰქონდა ჩვენს მასპინძელს. მაშინ ტრანსპორტის უქონლობის გამო წვეულებები გვიან იწყებოდა და გათენებამდე გრზელდებოდა. ჩვენც დილით პირდაპირ სკოლაში გამოვცხადდით. ერთ მერხზრ ვისხედით. ორ გაკვეთილს, როგორც იქნა, გავუძელით და მესამე გაკვეთილზე ღამენათევებმა და დაღლილებმა დავდეთ თავები მერხზე და ორივეს დაგვეძინა. მერე მაბრაზებდა ხოლმე „ხომ მეძინა შენთანო“. მთლად „ჩაფუფქული“ შეყვარებულები არ ვყოფილვართ, მაგრამ სულ ერთად ვიყავით, ზედმეტსაც ვერაფერს გამიბედავდა დაუმძრახების შიშით. დავამთავრეთ სკოლა და მე უნივერსტიტეტს მივაშურე, პარარელურად სამუსიკო სასწავლებელშიც მოვხვდი: ტარიელი სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. (მაშინ სამწლიანი იყო) ჯარიდან რომ ჩამოვიდა თბილისში მომაკითხა. მე სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში ვცხოვრობდი ექვს გოგონასთან ერთად. იყო ასეთი მომენტი: მეზობელი ოთახის გოგონები მაიმუნობდნენ; დაგვიკაკუნებდნენ კარზე და მერე იმალებოდნენ. ეს გამეორდა რამოდენიმეჯერ კიდევ გაისმა კაკუნი და შემოეთრიეო! - გაბრაზებულმა გასძახა ერთმა გოგონამ. გაიღო კარი და წარმოგვიდგა ტარიელი მთელი თავისი „მშვენიერებით“, იქ რა ამბავი ატყდებოდა, ხომ წარმოგიდგენიათ? იცინოდა სტიმარიც, რადგან მისთის უცხო არ იყო ასეთი ოინები. უნივერსტიტეტის დამთავრების შემდეგ არბოშიკის სკოლაში გამამწესეს მასწავლებლად. თან მუსიკაშიც ვამეცადინებდი ბავშვებს, ტარიელი ორჯონიკიძის ინსტიტუტში ჩაირიცხა მექანიზაციის ფაკულტეტზე. გამარჯვებიდან დავდიოდი სამსხურში, რადგან მაჩხაანის ავტობუსი რეგულალურად მოძრაობდა და ამ ტრანსპორტთ ვსარგებლობდი. ტარიელი ჩვეულებრივ არბოშიკის ბირჟაზე მელოდა, სადაც ავტობუსის გაჩერება იყო. ერთ დღესაც ჩემი დის მონახულება მომინდა, როელიც მაჩხაანში ცხოვრობდა და ქვემოდან მომავალ ავტობისზე რომ ავდიოდი, გამოიქცა და მეუბნება „მე შენ გელოდებოდი და შენ კიდევ სად მიდიხარ? არა და, მეც მამიდა მყავს მაჩხაანში და მეც იქ წამოვალო. ხომ ვერ დავუშლიდი? მოვინახულეთ ჩემი და და წამოსვლისას მეუბნება, ბარემ მამიდა-ჩემსაც ჩაუაროთ და მერე წავიდეთ შინო. გაიხარა მამიდამისმა.

- ტარიელ ეს რა კარგი გოგო მოგვიყვანე ჩემი გურამისთვისო.

- კი აბა, სულ თქვენი ჯავრი არა მაქვსო? არ დააყოვნა პასუხი ტარიელმა. ამ ხუმრობა-ხუმრობაში დავქორწინდით ისე, რომ ჩვენი ნათლიაობა აღარც გაგვხსენებია..

ამ ცოტა ხნის წინ მეუნება: ღვთის წინაშე დიდი ცოდვა მიგვიძღვისო, მაგრამ ხომ გამოვსწორდით სიბერეში, და ძმასავით არა ვცხოვრობთო, მაშ რა არისო? სმოთხეს დიდი ხანის დავემშვიდობეთ, მაგრამ იქნებ ჯოჯოხეთს მაინც ავდეთო. იმედია!

ბედნიერი ქალი ვარ, სამსახურებრივი კარიერის მიმართ არავითარი ამბიციები არ მქონია. სრულიად მაკმაყოფილებდა ჩემი მოკრძალებული სამსხური, რადგან მე ჩემს სამყაროში ვიყავი. 45 წელი გავატარე ჩემს საყვარელ პედკოლექტივთან და მოსწავლებთან . ახლა რომ შემხვდებიან სადმე, სახე გუნათდებათ, გამოიქცევიან და მომიკითხავენ, ვგრძნობ, რომ ამქვეყნად ტყუილად არ მიცხოვრია, მყავს წესიერი და ზრდილობიანი შვილები. ზაზა და ხათუნა ფიროსმანაშვილები და უფრო უკეთესი შვილიშვილები. მიხარია, რომ ნიკამ და ზურამ „ცემი“ უნივერსტიტეტი აირჩიეს. თავის დროზე ამ ციდნის ტაძარში რომ შევიდოდი, ენი აუწერელი აღმაფრენა მიპყრობდა. სხვათა შორის, ქუდბედიანი ვარ დაბადებული და გამიმართლდა. დათომ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა აირჩია და დაქორწინდა კიდეც. მალე დიდი ბებია გავხდები. ხოლო ლევანი ჯერ მერვეკლასელია და კოპიუტერი ისე იცის, მესინია ჰაკერი არ გამოვიდეს. რძალმა მეგი ბენაშვილმა და სიძემ გია პოპიაშვილმა კარგად აგვიწყეს ფეხი. თუ სადმე გაიგოთ, რომ სიძეს სიდედრისპერსონალური სადღეგრძელო დაულევია, (ანეგდოტი არ გეგონოთ, ნამდვილი ამბავია) იციდეთ, ეს მე ვარ.

ასე, ჩემო ძვირფასო მკითხველო, თუ ღიმილი მოგგვარეთ და გაგახსენეთ თქვენი ამვევიც დაწერეთ თქვენც და მეც სიამოვნებით წავიკითხავ. ახლა კი პატარა რჩევას გავბედავ; იუმორით შევხედოთ ყველაფერს და მერწმუნეთ, ცხოვრება არც ისე რთულად მოგეჩვენებათ ახლა კი გილოცავთ დამდეგ ახალ წელს, გისურვებთ ჯამთელობას, ბედნიერებას და დაე, სიცილი და მხიარულება ნუ მოგკლებოდეთ.

ზიზო ბიკაშვილი

ილია მეორე-შევთხოვთ წმინდა ნიკოლოზს, გაამთლიანოს საქართველო

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის ეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ სამების საპატრიარქო ტაძარში წირვის დასრულების შემედეგ წმინდა ნიკოლოზის სასწაულმოქმედი ძალის შესახებ იქადაგა.

უწმინდესმა მრევლს ნიკოლოზობის დღესასწაული მიუღოცა და საქართველო და ეკლესია წმინდა ნიკოლოზს და წმინდა გიორგის შეავედრა.

მისივე თქმით, წმინდა ნიკოლოზი დიდი სასწაულმოქმედია, მას ხალხის დახმარების, ღვთის მიერ ბოძებული დიდი ძალა გააჩნია და ნიკოლოზობა დიდი დღესასწაულია საქართველოსთვის.

,,არ არსებობს ადამიანი, რომელიც გაჭირვების ჟამს სთხოვს მას დახმარებას და არ დაეხმაროს. წმინდა ნიკოლოზი მეოთხე საუკუნეში ცხოვრობდა. ის იყო პირველი მსოფლიო კრების წევრი. წმინდა ნიკოლოზის მთელი ცხოვრება სასწაულებრივი იყო. წმინდა სინოდმა გადავწყვიტეთ, რომ ვთხოვოთ წმინდა ნიკოლოზს ჩვენი ეკლესიის და ერის მფარველი იყოს. ჩვენი თავი წმინდა გიორგისაც შევავედრეთ. წმინდა ნიკოლოზის ცხოვრება რომ წაიკითხოთ, ნახავთ, რამდენი სასწაული აქვს გაკეთებული. ის ყველას ეხმარება. შევთხოვთ წმინდა ნიკოლოზს გადმოხედოს თავის სამწყსოს საქართველოს და ეკლესიას. ხილული და უხილავი მტრებისგან გვიხსნას. გამთლიანოს საქართველო. წმინდა ნიკოლოზი განსაკუთრებით გაჭირვებულებს ეხმარება. ვისაც გექნებათ საშუალება გაჭირვებულებს დაეხმარეთ და წმინდა ნიკოლოზი თქვენ დაგეხმარებათ", — ბრძანა უწმინდესმა.

სადღესასწაულო წირვა-ლოცვა ჩატარდა დედოფლისწყაროს ყველა მოქმედ ტაძარში. მსწრაფლშემწე წმინდანის შესახებ ესაუბრნენ მრევლს დედოფლისწყაროში მოღვაწე მღვდელმსახურნი.

გილოცავთ ნიკოლოზობას, გფარავდეთ მისი მადლი!

19 დეკემბერი — წმიდა ნიკოლოზის ხსენების დღე

ნიკოლოზობა წელიწადში ორჯერ აღინიშნება. 19 დეკემბერი - წმიდა ნიკოლოზ სასწაულთმოქმედის ხსენების, 22 მაისი კი - ნიკოლოზ სასწაულთმოქმედის წმიდა ნაწილების მირონიდან ბარში გადასვენების დღეა. წმიდა ნიკოლოზის ცხოვრება სასწაულებითაა აღსავსე. მართლმადიდებლები წმიდა მღვდელთმთავარს შენევნისათვის ყოველგვარი გასაჭირის ჟამს მიმართავენ და ისიც მსწრაფლ შეეწევა ხოლმე მათ. წმიდა ნიკოლოზ სასწაულთმოქმედი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მფარველად მას შემდეგ ითვლება, რაც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა წმიდანს ქართული ეკლესია შეავედრა. წმიდანი დაუღალავად ქადაგებდა ღვთის სიტყვას, თავადაც მაგალითი იყო ქრისტიანული ცხოვრებისა და მოღვაწეობისა.

ცხოვრება წმინდა ნიკოლოზისა ღვთაებრივი ნათლით იყო გაბრწყინებული. მის ლოცვასა და შემწეობას მრავალი ადამიანი უხსნია ხორციელი თუ სულიერი სიკვდილისაგან. მრავალი გადაურჩენია ზღვაში ჩანთქმისგან, მრავალიც განუკურნავს: ბრმათათვის თვალი აუხელია, კოჭლთათვის საღი ფეხი მიუცია, ყრუთათვის — სმენა, უტყვთათვის — მეტყველების მადლი. სიღატაკეში მყოფთათვის — ცხოვრების სახსარი, დამშეულთათვის — სასმელი—საჭმელი.

ქართველ ხალხში წმიდა ნიკოლოზი დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს. საქართველოში მის სახელზე აგებული მრავალი ტაძარი არსებობს და ამ დღესასწაულს განსაკუთრებული სიხარულით ამ ტაძრის მრევლი აღნიშნავს ხოლმე. წმიდა ნიკოლოზის ხატის დაწერაც დიდ პასუხისმგებლობასთანაა დაკავშირებული ქართველი ხატმწერებისთვის. ამასთან, ნიკოლოზი საქართველოში ერთ-ერთი გავრცელებული სახელია და ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანი ცდილობს, ღირსეულად ატაროს წმიდანის სახელი.

წმიდა ნიკოლოზის ცხოვრებიდან ერთი ეპიზოდი ყველასთვის კარგადაა ცნობილი. როცა წმიდანი ქალაქ პატრაში მღვდლად მსახურობდა, შეიტყო, რომ ერთ გაღატაკებულ კაცს, რომელსაც სამი ქალიშვილი ჰყავდა, მათი გამზითვება და დაქორწინება არ შეეძლო, - განუზრახავს მათი საროსკიპოში გაგზავნა და ამ გზით გამდიდრება. ქალწულები ცრემლით ევედრებოდნენ უფალს გამოხსნას ამ საშინელი ხვედრისაგან. ღმერთმა მათ დასახმარებლად მღვდელი ნიკოლოზი გააგზავნა. სამგზის მივიდა მის სახლთან წმიდა ნიკოლოზი და ყოველ მისვლაზე კარის ზღურბლთან ოქროთი სავსე ქისა დატოვა. ასე შეძლო მამამ თავისი სამივე ქალიშვილის გამზითვება. ამგვარად იხსნა წმიდა ნიკოლოზმა სამი ქალწული და მათი მამა საშინელი განსაცდელისგან. სწორედ ამ ეპიზოდმა წმიდა ნიკოლოზის ცხოვრებიდან განაპირობა სანტა კლაუსის დამკვიდრება დასავლურ ტრადიციაში. ასე, თანდათანობით, იქცა იგი დას. ევროპისა და ჩრ. ამერიკის შობა-ახალწლის სიმბოლოდ - სანტა კლაუსად. შობა ღამეს, წმიდა ნიკოლოზის სასწაულის მოლოდინში, საჩუქრების დასატოვებლად საგანგებოდ წინდებს გამოფენენ ხოლმე. ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში შობა ღამეს წინდებსა და ფეხსაცმელს ბუხართან ტოვებენ, რადგან სნამთ, რომ საკვამურიდან სახლში სანტა კლაუსი ან მისი თანაშემწე შემოაღწევს და წინდებსა და ფეხსაცმელში საჩუქრებს ჩააწყობს. თუმცა, თანამედროვე ბავშვის ცნობიერებაში ამჟამინდელი სანტა კლაუსი არანაირად არ უკავშირდება წმიდა ნიკოლოზს.

ხსოვნა



ვანო თეთვაძე

პირველი ახალი წელი და დაბადების დღე უშენოდ!

დრო გადის და უფრო ძლიერია მონატრება. ის სულ შენშია, ცხადშიც და ფერად სიზმრებშიც კი. ხშირად გიბიძგებს საოჯახო ალბომისკენ, რომ მოგონებებში გადაგღვაროს. მხოლოდ ფოტო ინახავს მთელ სივრცეს ადამიანების გუნება-განწყობილებისას. გინდა ესაუბრო თვითოეულ სურათთაგანს, რაგინდ ეს ბუტბუტი საათობით ცრემლების ფასადაც დაგიჯდეს. მერე გაურკვეველი გამომეტყველებით გაიხედო ფანჯარაში და მონუსხულ ბუნებას მიაძახო, ეს პირველი ახალი წელი და დაბადების დღეა ვანო, უშენოდ!

ბუნებაც როგორი მდუმარეა. თალხშემოცმული დამშვიდობებია მწვანე სიცოცხლეს და დანებებია მინაზე გართხმულ ჩაყვითლებულ, ერთ დროს ხასხასა, თავისავე განუყრელი სხეულის ნაწილებს. იძულებული ხარ ბუნების მარშით გაუყვე ცხოვრების დინებას და ნება-ნება ამოატივტივო შენი საყვარელი ადამიანის გავლილი გზის ეპიზოდები. ვინ იყო იგი? რა და ვინ დაგიტოვა სიცოცხლის გასაგრძელებლად? როგორ მიიღო საზოგადოებამ და დააკლდა თუ არა უიმისობა ახლობლებს? თუ ჰქონდა ისეთი რამ ხასიათში,რაც სხვებისგან გამოარჩევდა?

მაღალი, გამხდარი,მხრებში ათლეტურედ განეული, საკმაოდ სიმპატიური ვანო თეთვაძე ახლობლების და არა მარტო მათი, ვინც ერთხელ მაინც ნახავდა, ყველას სული და გული იყო. ის საიდანღაც რაღაცით იმართებოდა,რაც სხვათაგან გამოარჩევდა და რითაც შეუძლებელია მისი დავიწყება,სანამ ერთი ნაცნობთაგანიც იარსებებს ამ ქვეყანაზე. ვანოს საყვარელი მეუღლის,დალი ქუსიკაშვილის მოსწავლეები ვერაფრით ივსებენ უმისობით გამოწვეულ სიცარიელეს. მათ ხომ ყოველდღიურად ეფერებოდა საკუთარი პაპების მსგავსად მზრუნველი, ვანო პაპა.

რომანისთვის- კაი-კაცობის მაგალითი. ამიტომაც ცდილობს მამაზე მეტი სიკეთე აკეთოს. თეთვაძეების ამაყმა შვილმა ამ გიორგობას თითქოს ერთიანად აჰყარა თავისი გვარის წარმომადგენელნი და ერთ მუშტად შეკრული სამების ლავრის მამა მაკარის მიერ დაწერილ ღვთისმშობლის მსწრაფლშემსმენელ თეთვაძეების საგავრეულო ხატთან დააჩოქა საამბორებლად.ამ დღეს გადაწყდა, ოცდასამი ნოემბერი მათი თავშეყრის დღედ ქცეულიყო. დღეს ეს ხატი თეთვაძეების ოჯახშია და სიყვარულით ელის მნახველებს. ამით სამარადჟამოდ დაავანა მამის ხსოვნაში სიწმინდე და სიყვარული თეთვაძეთა გვარისა.

ამ ოჯახს გამგრძელებელიც ჰყავს, ვისშიაც ვანო პაპის დიდსულოვნება ნიაღვარივით გადმოდინდება. მისი ალალმართალი ბუნება განეტიკურად თაობებს გადასწვდება.

ცხოვრების რელსებზე შემდგარი დრო უჩვეულოდ გარბის. თითქოს ახლახან დაიწყო ათვლა. თეთვაძეების ოჯახში ამ ახალ წელს პირველად შესვამენ ვანო თეთვაძის ხსოვნის სადღეგრძელოს.ესეც ტრადიციად იქცევა ამიერიდან. მერე კი კერაგაუციებელი ჭერი იმედიანად დასძახებს მრავალჟამიერს.

თამარ ლოგვინიძე

მონატრება



სპარტაკ ბენაშვილი

მეორე წელია, რაც უშენოდ ცხოვრებას ვსწავლობ და ვეგუები, ორი წელია, შენს გარეშე ვხვდები ახალ წელს და შენს დაბადების დღეს-5 იანვარს. სამი შვილი გყავდა, სამივე დააბინავე და მათ წინაშე ვალმოხდილი წახვედი ამქვეყნიდან.

ორი შვილიშვილი დაგრჩა, რომლებიც შენს შვილებთან ერთად მუდამ სიყვარულით მოგიგონებენ. წელსაც მოვალთ შენს საფლავთან, აგინთებთ სანთლებს და იმქვეყნიურ სამყაროში მოგილოცავთ დაბადების დღეს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული, სპარტაკ!

მეუღლე მერი ბენაშვილი

მონატრება

თამაზ (ბათია) ტუსაშვილი

ჩვენო საყვარელო ბათია, შვიდი წელი გავიდა, რაც დატოვე ეს წუთისოფელი. მხოლოდ ცრემლითა და ტკივილით ვანთებთ და ვაღამებთ. ამბობენ, დრო მკურნალიაო, მაგრამ ეს ასე არ ყოფილა, ეს არის დარდი და მონატრება. ყოველი დღე მწუხარეა შენი განადგურებული მოხუცი მშობლებისათვის. შვილმკვდარი მშობლების სიცოცხლე ხომ ტანჯვა და სასჯელია.

უზომოდ მენატრები. ენატრები შენს საამაყო შვილსილიკოს, რძალს, შენ ხომ ასეთი კეთილი და მოსიყვარულე იყავი.

იმ ასაკში წახვედი ჩვენგან, როდესაც ცხოვრების გზა გაკვალულია,მ შვილიშვილებით უნდა გაივსოს სახლ-კარი და ადამიანმა გაიხაროს. ძლიერ გიყვარდა შენი ოჯახი. კეთილი გული გქონდა და ყველას სიყვარულს იტევდა. შვილისვილი- სალომე, თავისი პატარა ხელებით ყოველდღე ეფერება შენს სურათს. თვალებით დაგეძებს და იცის, რომ მოხვალ და გულში ჩაიკრავ სიხარილით აღსავსე, მაგრამ ამაოდ, მას რჩება სურათიდან მომზირალი გაყინული თვალები. ძალიან გვიჭირს უშენობა. შენი უდროოდ დაკარგვის გამო, შენ ხომ მეგობრებისატვის გვერდში დგომა დიდ სიამონებას განიჭებდა.

არიან ადამიანები, რომლებიც ამქეყნად მოსვლით ცხოვრებას ლამაზ კვალს ავლენენ, ხოლო წასვლით კი სანთლებით, ვარდებითა და ტკივილიანი სიყვარულით გააცისკროვებენ, სწორედ ასეთი იყავი შენ, ჩემო ძვირფასო. სესაშური ერთგულება შეგეძლო და ადამიანების გატანა, ჩვენო სათნო, ლამაზო და კეთილო, ნეტავი თუ გრძნობ, როგორ გვიჭირს უშენობა."

მართლაც რომ წუთიერია ეს მიწიერი ცხოვრება. ყველაფერი იყო და არა იყორა.

სიკვდილი შენისთანებისთვის სიცოცხლის გვირგვინია, სიცოცხლისა, ლამაზ ფერებად რომ გაატანე მარადისობას.

ჩემო სიცოცხლევ, ჩვენ მხოლოდ ისღა დაგვრჩენია, ვილოცოთ შენტვის. ღმერთს ვევედრებით, ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული და ჩვენს მიერ დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს მარადიული სასუფეველი, ჩვენო ძვირფასო ბათია.

შენი ოჯახი

შვილი ბესიკ თოფჩიშვილი, რძალი მარინა მეხრიშვილი, შვილიშვილები ეკა და გულნარა თოფჩიშვილები იუწყებიან

ეკატერინე (კატუშა) თოფჩიშვილის

გარდაცვალებას. დაიკრძალა კვირას სოფელ ოზაანში.

გაზეთ " შირაქის" ყოფილი და ახლანდელი თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ გოდერძი , მარინა და ემზარ ტოკლიკიშვილებს

გულო შანშიაშვილის

გარდაცვალების გამო.

მეუღლე გოდერძი ტოკლიკიშვილი, შვილები მარინე, ემზარი; სიძე თამაზ ოზბეთელაშვილი; რძალი ლაურა ლიქოკელი; შვილიშვილები; დები ნანა და ლია; დისშვილები მუხრანი და ლალი ბიკაშვილები; ამირანი და მაია აბრამიშვილები; სიძე შოთა ბიკაშვილი; მულისშვილები ზურა და ეთერი გონაშვილები ოჯახებით იუწყებიან

გულო შანშიაშვილ-ტოკლიკიშვილის

გარდაცვალებას. დაიკრძალა ქალაქ დედოფლისწყაროში; ჰერეთის ქ.№67. 21დეკემბერს, 2013 წელს.

მარინა, გურამი, მზიკო, ვანო მოლაშვილები თანაგრძნობას უცხადებენ მარინე გოგილაშვილს ძმის , ნათია და ნინოს მამის, ია და ეკას ბიძის

რამაზის

გარდაცვალების გამო.

ვაჟა, დარეჯანი, ლია პაპუაშვილები; რძალი ლია მაძღარაშვილი, რაია, მზია ჩუთლაშვილები იუწყებიან

იულია მჭედლიშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ნიკა ჩუთლაშვილს და ვიქტორ მჭედლიშვილს.

როგორ შევხვდეთ ახალ 2014 წელიწადს

აღმოსავლური ჰოროსკოპის თანახმად, ყოველი ახალი წელი ჩვენთან მარტო კი არა, თავის მფარველთან ერთად მოდის. ახალი 2014 წლის სიმბოლო ლურჯი ხის ცხენია. ახალი წელი თითქმის ყველა ადამიანისთვის არა კალენდარში დასვენების დღედ მონიშნული რიგითი დღესასწაული, არამედ ცხოვრების კარდინალურად (შესაძლოა ასე მკვეთრად არა, მაგრამ მაინც) შეცვლის შანსია. ადამიანს უძველესი დროიდან სჯეროდა, რომ ახალ წელს სასწაული მოხდება, ამიტომაც უზენაეს ძალებს სურვილების ასრულება უნდა სთხოვოს. თუმცა ფანტაზია რეალობად რომ იქცეს, ამისთვის წლის მფარველს სწორად უნდა შეეგებოთ. მაშ ასე, როგორ შევხვდეთ ხის ლურჯი ცხენის წელიწადს?

როდესაც წლის მფარველი ლურჯი ხის ცხენია, იოლი მისახვედრია, რა ფერებში უნდა შეეგებოთ ახალ წელს — ამ დღესასწაულისთვის ყველაზე შესაფერისი ლურჯი ან ყავისფერი ფერებია. აღმოსავლური ჰოროსკოპის თანახმად, წლის მთავარი სიმბოლოს ფაფარი და კუდი მომწვანოდ იქნება შეფერილი. შესაბამისად, საახალწლო ტანსაცმელში მწვანის ყველა ტონი შეგიძლიათ ჩართოთ.

ფერების გარდა, წლის ყველაზე ჯადოსნური ღამის შესახვედრად თავად ტანსაცმლის შერჩევაც ძალიან მნიშვნელოვანია. ცხენი ყველაზე კეთილშობილი და არისტოკრატული ცხოველია, შესაბამისად დისჰარმონიის ნებისმიერი გამოვლინება მას უკმაყოფილოს დატოვებს. საახალწლო კოსტიუმი, პირველ რიგში ქალური და ელეგანტური უნდა იყოს. შესანიშნავი იქნება მუქი ზურმუხტისფერი ან ლურჯი საღამოს კაბა. მით უფრო, რომ ეს ფერები 2014 წლის ზამთრის ტრენდია.

ასევე ძალიან მნიშვნელოვანია საახალწლო ღამისთვის აქსესუარების შერჩევა. გაითვალისწინეთ, რომ ცხენს მეტისმეტი პომპეზურობა და ბრწყინვალება არ უყვარს, ამიტომ ახალი წლის ღამეს უარი თქვით ბიჟუტერიაზე და ოქროს ან ვერცხლის სადა სამკაულები გაიკეთეთ. მით უფრო, რომ აღმოსავლურ კულტურაში ოქრო სიმდიდრესა და კეთილდღეობასთან სიმბოლიზდება. ცხენის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად საუკეთესო გზა საახალწლო მორთულობაში ნატურალური ხის აქსესუარების ან სამკაულების შეტანაა. მაგალითად, ეთნიკურ სტილში შესრულებული საყურე, გულსაბნევი ან ხის ლამაზი, მასიური სამაჯური.

როგორ გავაწყოთ სუფრა

ნებისმიერ დღესასწაულზე ცენტრალური ადგილი სუფრას უჭირავს და ამ მხრივ არც ახალი წელია გამონაკლისი, შეიძლება ითქვას კიდეც, რომ პირიქით 2014 წლის ღირსეულად შეხვედრისა და თქვენი სამომავლო გეგმების რეალიზაციისთვის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად, სადღესასწაულო სუფრის შუაგულში ცხენის საყვარელი კერძი — შვრია ან ქერი ჩადგით. რასაკვირველია, ეს პროდუქტები ახალი წლის სუფრაზე მადას ალბათ არავის აღუძრავს, მაგრამ შეგიძლიათ ისინი სუფრის მთავარ მორთულობად აქციოთ — საკმარისია შვრიის მარცვლები მწვანილით ან ხილის ლამაზად დაჭრილი ნაჭრებით გააფორმოთ.

ცხენის საყვარელი სასუსნავი ვაშლი და სტაფილოა. ეს სასარგებლო პროდუქტები სალათების ინგრედიენტად ან დესერტის შიგთავსად შეგიძლიათ გამოიყენოთ. აღმოსავლური სიბრძნის თანახმად, 2014 წლის შესახვედრად ნაძვის ხის ქვეშ ლამაზი წითელი ვაშლი, წყლიანი ფიალა და წითელი ლენტით შეკრული ცოტაოდენი თივა უნდა დადოთ — ამის დანახვის შემდეგ ცხენი მოლბება და თქვენი ოჯახისთვის ბედნიერებას არ დაიშურებს

საახალწლო კერძების მორთვისას უხვად გამოიყენეთ მწვანილი, ბოსტნეული და ხილი. მაგიდას ნატურალური ქსოვილის ლურჯი, მწვანე ან თეთრი სუფრა გადააფარეთ და ძალიან კარგი იქნება, თუ მაგიდას ხის ჭურჭლით გააწყობთ.

როგორ მოვამზადოთ სახლი 2014 წლის შესახვედრად

უმთავრესია, ახალი წლის ღამეს სახლში იყოს სისუფთავე და რაც შეიძლება მეტი თავისუფალი სივრცე. ამ ნანატრი დღესასწაულის მოახლოება შესანიშნავი მიზეზია, რათა ყველა არასაჭირო ნივთი ბოლოს და ბოლოს თავიდან მოიშოროთ. აღმოსავლური სიბრძნის თანახმად, დიდი ხნის გამოუყენებელი ნივთები პატრონისგან ენერგიას ისრუტავს, რაც აპათიისა და ჯანმრთელობის გაუარესების მიზეზი ხდება. გარდა ამისა, შეეცადეთ ახალი წლის ღამეს სახლში ყველა ონკანი გამართულად მუშაობდეს — წყლის წვეთა ან თავისუფალი დინება ფულად დანაკარგებთან და მატერიალურ სირთულეებთან სიმბოლიზდება. სახლში წარმატებისა და კეთილდღეობის მოსაზიდად, ის ცოცხალი ყვავილებით უნდა გააფორმოთ.

ახალი წლის ღამეს სახლში აუცილებლად უნდა გქონდეთ ხის ნაკეთობები — ძველი ხის ფიგურები თუ სუვენირები. ხის სტიქია ახალ წელიწადში სტაბილურობასა და სიმშვიდეს შემოიტანს.

მათთვის, ვისაც უახლოეს 365 დღეში გათხოვება ან ცოლის მოყვანა უნდა, რეკომენდებულია საკუთარი ოთახის წითელი ყვავილებით მორთვა.

2014 წელს შეხვდით: მხიარულები, ლამაზები, ოჯახის წევრებთან ერთად, ასევე თქვენს ახლო მეობრებთან. მორთეთ ნაძვის ხე და ჩამოკიდეთ ცხენის ფიგურა, გაუკეთეთ ერთმანეთს საჩუქრები და რაც მთავარია, მთელი გულით ირწმუნეთ , რომ ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლება, აგიხდებათ ყველა სურვილი და გაიხარეთ ამ რწმენით, რადგან ყველაზე დიდი ძალა რწმენას აქვს, რაც მთელი გულით გჯერათ და გსურთ ის აგისრულდებათ კიდეც.

გისურვებთ ახალი 2014 წელი ყოფილიყოს თქვენთვის ყველაზე ლამაზი, სიხარულის, წარმატების მომტანი. იყავით ჯანმრთელები და გახარებულები. მთავარია გჯეროდეთ ყველაფერი კარგი, იმხიარულეთ მთელი გულით გაუნაწილეთ ყველას თქვენი სიყვარული, კეთილგანწყობა და ამ დადებითი ენერგიით დამუხტული ყოველთვის მიაღწევთ წარმატებას. ახალი წელი ის გამორჩეული დგესასწაულია, რომელსაც მთელი მსოფლიო ზეიმობს და ამ დღეს მთელი დედამიწა მხიარულებითაა მოცული.

ულოცავენ!

ირაკლი პოპიაშვილს

22 დეკემბერს 18 წლის შესრულდები - სრულწლოვანი მოქალაქე გახდები. გილოცავთ ამ ღირსშესანიშნავ თარიღს.

პირველ რიგში გისურვებთ უფლის მფარველობას, ჯამთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, წარმატებებს სწავლაი და პირად ცხოვრებაში. რაც ყველაზე მთავარია ღმერთმა დროულად შენსავით ფიზიკურად ლამაზი, სათნო, პატიოსანი და გულწრფელი მეორე ნახევარი შეგახვედროს, რომ ბედნიერი ოჯახი შექმნათ და ღირსეული შვილები აღუზარდოთ ჩვენს ქვეყანას.

უახლოესი მეზობლების კლარა
ოზაშვილის და გუგული ალადაშვილის ოჯახი.

ცქურო იაკობიშვილს

დედა, გილოცავთ დაბადების დღეს - 80 წლის იუბილეს ღმერთმა კიდევ დიდხანს გვოცოცხლოს შენი თავი. ჯანმრთელი, ბედნიერი და გახარებული იყავი მუდამ შენს საყვარელ ოჯახთან ერთად.

დიდი სიყვარულით
შენი შვილები ირმა, ირინა და ნინო ოჯახებით.

ახალ წელს

მობრძანდი მალე! ახალო წელო,
სულმოუთქმელად გელით და გელით,
ყველამ ერთმანეთს ჩავკიდოთ ხელი.
ათას ფერებად მორთე მოკაზმე!
შენი აქ ყოფნის დღე თვითველული.
იყავ მომტანი ბედნიერების,
ჩვენი ცხოვრების ხატად ქცეული,
არ დავიზარებთ: შრომას და გარჯას.
შენც თუ მშვიდობაც იქნებაქვეყნად,
უღრმეს მადლობას მოგწერთ ბარათით.

ლამზირა (გიული) ჯავახიშვილი

გამოიწერეთ გაზეთი „შირაქი“

2013 წლისთვის გაზეთ „შირაქის“ პერიოდულობა კვლავ ყოველკვირეული იქნება, რვაგვერდიანი და ფერადი. გამოწერის ღირებულება მთელი წლით 15 ლარი ეღირება, 6 თვით - 7,50 ლარი.

„შირაქი“ ერთგულ მკითხველს სიურპრიზს სთავაზობს - ვისაც ოთხი და მეტი წლის განმავლობაში ჰქონდა გაფორმებული ხელშეკრულება გაზეთთან, წელიწადში ერთხელ 5 ლარის ღირებულების განცხადების უფასოდ გამოქვეყნების საშუალება მიეცემა.

გამოიწერეთ გაზეთი „შირაქი“ – შეიტყეთ ყველაფერი დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 23.12		სამშაბათი 24.12		ოთხშაბათი 25.12		ხუთშაბათი 26.12		პარასკევი 27.12		შაბათი 28.12		კვირა 29.12	
	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
	-2 °	-3 °	-1 °	-2 °	0 °	-2 °	-2 °	-4 °	-2 °	-4 °	-3 °	-4°	-3 °	-4 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ. პ. ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591 97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.

C M Y K